140
1962/2

პიონერი
8 აგვისტო 1962



ვაშა, კოსმოსის გმირებს!

11 აგვისტოს ელვასავით მოედო მთელ მსოფლიოს მოსკოვის რადიოს ხმა;.. ორბიტაზეა გაყვანილი კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3“; ხომალდი „აღმოსავლეთი 3“-ის პილოტია საბჭოთა კავშირის მოქალაქე, მფრინავი კოსმონავტი მაიორი ანდრიან ნიკოლაევი.

ერთი დღე-ღამის შემდეგ კი ახალმა ცნობამ შეაღრხია ეთერი: ...ორბიტაზეა გაყვანილი კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4“, რომლის პილოტია მფრინავი კოსმონავტი პავლე რომანის ძე პოპოვიჩი.

13 აგვისტოს კი ორივე კოსმონავტი მშვიდობით დაეშვა მშობლიურ მიწაზე.

კოსმონავტებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი დავალება, ამ გაფრენით მეცნიერებმა მიიღეს ახალი ძვირფასი მონაცემები უწონობის პირობებში ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობის შესახებ.

მრავალდღიანმა გაფრენამ ცხადჰყო, რომ საბჭოთა კოსმონავტებს აღარ აშინებთ დიდი მანძილები და რომ უახლოეს ხანებში, ისინი მზის სისტემის პლანეტებისაკენ გაიკაფავენ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
უოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

8707

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი,**
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), **რ. ქორკია,**
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე

პიონერი
8
1964
აგვისტო

თბილისი

შინაარსი

	გვ.
ზ. ლეშკაშელი—ეს ბანაკი ჩვენია (ნარკვევი)	2
გ. კეპალმაძე—მეფის გამბიტი (მოთხრობა)	4
ქ. ხახუტაშვილი—შრომისმოყვარე გოგონები (ნარკვევი)	8
შ. ედილაშვილი—სარეკელას ამბავი	10
პ. პაოლო პაზოლინი—ჯაბანანა (მოთხრობა, თარგმნა ზ. ობოლაძემ)	12
ა. მირცხულავა—პიონერის სურვილი (ლექსი)	14
თ. ცაგარელი—თრიალეთის ქედის ძირას (რეპორტაჟი)	15
ს. აბდალაძე—მეხანძრეები (პოემა)	17
ც. ყარაულაშვილი—თოჯინების სამყაროში (წერილი)	61
მოსწავლეთა შემოქმედება	20
გ. ბახტაძე—შრომა, გარჯა, სიხარული (წერილი)	23
ჯ. როდარი—ლექსები (თარგმნა გ. ცეცხლაძემ)	23
ლ. პაიჭაძე, ც. ელიგულაშვილი—ნორჩ მეოჯახეთა კლუბი (წერილი)	24
თ. ხახაროვი—მეთერთმეტე რესპუბლიკური (წერილი)	26
ვ. ცისკარიშვილი—დღემდე მოღწეული უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები (წერილი)	28
ვ. სიდამონიძე—ღურმა ბაზალი (წერილი)	29
გ. ფოსტერი—ანკარა (გერმანულიდან თარგმნა რ. ყარალაშვილმა)	30
ბუნების კარი	31
მოკლედ ყველაფერზე	32
თავისუფალ დროს . . . . . გარეკ.	3

გარეკანის პირველ გვერდზე—„საღამო ზღვის პირას“, ნახატი **რევაზ ცუცქირიძისა**; მეოთხე გვერდზე—„საესტრადო ორკესტრი“, ნახ. **ჯემალ ლოლუასი.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **მ. დაუშვილის, რ. ცუცქირიძის, ვ. ვიხოცკის, ჯ. ლოლუას, ე. ამბოკაძისა** და **თ. ხამსონაძის** მიერ.

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ჯარა

ბზამ მკვეთრად მოუხვია და, თითქოს ვინმემ საგანგებოდ დამალაო, ტყიდან კოპწიად ჩამწკრივებული კოტეჯები გამოხტნენ. ერთი, ორი, სამი, ოცი... „მიუსერას პიონერული ბანაკი“ — მწვანედ მოხასხასე ტყის ფონზე წითლად ელავს წარწერა.

ერთ შენობიდან ბავშვების ერიამული მოისმა. შეგვდით. გრძელ მაგიდას ორმოცამდე ბავშვი შემოსხდომოდა. პიონერებს ბანაკში ოცი დღე გაეტარებინათ და ახლა გამოსამშვიდობებელ შეკრებაზე ერომანეთს უზიარებნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

ბანაკის დასათვალიერებლად, პიონერთა ცხოვრების შესასწავლად ჩასული სტუმარი უკეთესს აბა რას ინატრებდა და მეც შევუერთდი პიონერთა ამ ზეიმს.

მაგიდის თავში, მზით გარუჯული, მაღალი ბიჭი ადგა და ლაპარაკი დაიწყო:

— ეს ამირან აბესაძეა, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, — მეუბნება უფროსი პიონერხელმძღვანელი.

-- თუმცა ბევრი საინტერესო დღე გავატარე ბანაკში, -- ამბობს ამირანი, — ჩემთვის გუშინწინდელი დღე ყველაზე სამახსოვრო იყო. გადავწყვიტეთ მეორე რაზმთან შეჯიბრი-თამაში — „თუ მოგვძებნეთ“ გაგვემართა. კენჭი ვყარეთ, ვის უნდა ეძებნა, და ჩემი რაზმი ტყეში წავიყვანე. ღილა იყო, ხშირფოთლოვან ხეებში მზე ვერ ატანდა. გაუკვალავი უღრანებით ავყევით ხეობას. ბანაკიდან ხუთიოდე კილომეტრზე ერთ კლდეს შევაფარეთ თავი, ზემოდან ფოთლები და ხავსი გადავიყარეთ. ისე შევინიღბეთ, რომ ბავშვები ოხუნჯობდნენ: ახლა მეძებარი ძაღლებიც კი ვერ მოგვძებნიანო. ვიცოდით, რომ „მტერი“ მიუვალ ადგილებში დაგვიწყებდა ძებნას. ჩვენ ხერხი ვიხმარეთ და ღელის პირას დავიმალეთ.

სიჩუმე იყო საჭირო, ამიტომ ხმას ვერ ვიღებდით და სიცილით ვიგუდებოდით, როდესაც მეორე რაზმის მზვერავებმა წინ ჩაგვიარეს. ფრთხილად მიდიოდნენ,—მივეპარებითო. ერთი ხის ძირში მეთვალყურეები დატოვეს და ღელეს შეჰყვნენ. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ მეთვალყურეები მარტო ყოფნას შეეშინდნენ და თავქვე დაეშვნენ სირბილით. როცა „მტრის მთელმა ლაშქარმა“ წინ ჩაგვიარა და ტყეს შეერია, ჩვენ ჯგუფ-ჯგუფად გამოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით საფრიდან და ფარულად დავეშვით ბანაკისაკენ. შუადღე იყო, როცა მთელი რაზმი უცლებლივ ბანაკში დაბრუნდა. ერთი საათის შემდეგ კი დაქანცული მზვერავებიც დაბრუნდნენ, ვერ გვიპოვნეს და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

ჩემს გვერდით პატარა, თვალებბრიალა გოგონა წამოდგა. ყელსახვევი ეკეთა. მაგრამ წითელი კი არა, ზღვისფერი ლურჯი ყელსახვევი. გამიკვირდა. სმენად ვიქეცი.

— საღამო ხანს მორიგედ ვიყავი ბანაკის შესასვლელთან, — გვიამბობს გოგონა, — მოულოდნელად, ერთნაირად გამოწყობილი ოციოდე ქალი და კაცი მოადგა ჭიშკარს. მაგრად დავდექი, არ შემოვუშვი. ბოლოს გამოირკვა, რომ ესენი ჩვენი მეზობლები, „ოქროს ნაპირზე“ მცხოვრებნი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან ჩამოსული დამსვენებლები ყოფილან. ბანაკში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. გერმანელმა პიონერმეშუშაკებმა ბევრი რამ გვიამბეს იქაური ბავშვების ცხოვრებაზე და ბოლოს საჩუქრები დაგვირიგეს. მე და ვალტერ შულცმა ყელსახვევები გავცვალეთ, თან ჩემი მისამართი მივეცი: თბილისი. მე-12 საშუალო სკოლა, ლილი ლებანინიძე. ამიერიდან გერმანელ პიონერებთან მიმოწერა მექნება.

— უცხოელებთან შეხვედრაც კარგი იყო, ტყეში თამაშიც, მაგრამ კოლმეურნეობაში გატარებული დღე უფრო დამამახსოვრდა, — ამბობს ლალი აბულაძე, — ჩემს სოფელშიც ხშირად ვეხმარები კოლმეურნეებს და მაინტერესებდა: როგორი მოვლილი იყო აქ პლანტაციები, სიმინდი თუ ბოსტნეული. ჩვენი რაზმი რამდენიმე საათს მარგლიდა ბოსტანს, აბა, ისე მოუვლელს, ხომ არ დავტოვებდით. გავასუფთავეთ, გავალამაზეთ იქაურობა. სიმინდის ყანები სულაც არ მომეწონა, ჩვენში უკეთესი ყანებია. აქ ყვითელი ნიადაგია და ალბათ სიმინდს არ უყვარს ასეთი მიწა. პატარა, ჩაყვითლებული ღეროები აქვს. სამაგიეროდ ციტრუსების პლანტაციები უნდა ნახოთ. ჯერ კიდევ ზაფხულია და ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის ხეები უკვე ვერ იკავებენ ნაყოფს. კოლმეურნეებმა შინ შეგვიპატიჟეს, გაგვიმასპინძლდნენ; ასე იციან ჩვენშიც, მოსახმარებლად მოსულ კაცს პატივს სცემენ ხოლმე.

— ესეც კარგი იყო, — ჩაერია საუბარში ჯულიეტა ტარუა, — მაგრამ მე მაინც ხეების დარგვა უფრო მოგწონა. აბა რა სჯობს, ნორჩ ნაყოფს ფესვებს რომ გაუმაგრებ და მერე წყალს მოასხამ. ამას წინათ ჯერთი მოთხრობა წავიკითხე „ნორჩი მუხა“. მრავალი წლის წინათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თურმე ერთი თოთქმის უიმედოდ გასხებული ნორჩი ნერგი დარგო და გაახარა, ახლა ის ნერგი უზარმაზარი ხეა. აი, მეც მინდა, რომ წლების შემდეგ, როცა დიდი გავიზრდები, ჩამოვიარო ამ ბანაკში. აქ მაშინ სხვა პიონერები იქნებიან, სულ სხვა ბავშვები; მათ ხეების დარგვა არ დასჭირდებათ, აქაურობა ტყით იქნება დაფარული. ჰიკალ და მოვეალერსები ჩემ დარგულ ცაცხვებს.

— მე აქ ცურვა და ცეკვა ვისწავლე, — ჩამოართვა სიტყვა თინა კიღურაძემ, — შინ რომ დავბრუნდები, აუცილებლად ცურვის სექციაში დავიწყებ მეცადინეობას.

— მე მზარეულობა ვისწავლე.

— მე ბრაჯერვა.

— ამდენ თავისუფალ დროს სად ვიშოვიდი, მთლად გადავიკითხე ჟიულ ვერნი.

ჰყვებიან ბავშვები და ვრწმუნდები თუ რა სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს ამ ბანაკში, რაოდენ ნაყოფიერი, შინაარსიანი დღეებია განვლილი.

ზ. ლეშკაშელი

ფოტო ი. მაღალაშვილისა

ჩვენია!

კეფის ბაკიტი

გიორგი კეჟაღმაძე

ნახ. მ. დაუშვილისა

მოთხრობა

საღამო ხანი იყო, აგარაკს რომ მიაღწიეს. ხალხითა და ბარგით დატვირთულმა მანქანამ ირიბად გადაკრა მდინარე და ზუზუნით შეუდგა ადმართს. ქუჩაში გამოფენილმა ბავშვებმა ბურთის თამაშს თავი ანებეს და მანქანას გზა დაუთმეს, რომელმაც იქვე, ყავრით დახურულ სახლთან ჩაუხვია და გაჩერდა.

სოსო პირველი გადმოხტა ძირს და მაშინვე თავისი პატარა ჩემოდანი გადმოიღო. იქვე გაჩნდა ბებიაც, რომელიც კაბინაში იჯდა და დედასა და მძღოლს ბარგის გადმოლაგებაში მიეშველა. მძღოლს ეჩქარებოდა. მას მანქანაზე მსხდომი სხვა მოგარაკეებიც უნდა მიეყვანა თავიანთ ბინებზე და საღამომდე ბარისაკენ გაბრუნებულიყო.

ის იყო მანქანა უნდა დაძრულიყო, სოსო კაბინის საფეხურზე შეხტა და მძღოლს ხმადაბლა კითხა:

— ძია ჯუმბერ, დღესვე დაბრუნდები ბარში?

მძღოლმა თავი დაუქნია პასუხად. შემდეგ ბიჭს ყურადღებით ახედა და ღიმილით უთხრა:

— ძაან სირცხვილი კი ჭამე გზაში... შე კაცო, ასე თუ ვერ იტანდი მგზავრობას, გეთქვა.

სოსომ დანანებით გააქნია თავი.

— რომ მაწყინა, არა?

— აბა!

წამით ორივენი გაჩუმდნენ. ჩანდა, სოსოს რაღაც სათქმელი ჰქონდა, ყოყმანობდა.

— ძია ჯუმბერ, მოდი ნუ ეტყვი მამაჩემს... კარგი?..

მძღოლს გაეცინა. შემდეგ უცებ აჩქარდა, მანქანა აამუშავა და ხელი სიჩქარის ბერკეტს მოკიდა.

— აბა, ჩასტი, მეჩქარება...

შემდეგ კი, ბიჭის მუდარით სავსე თვალები რომ დაინახა, დაუმატა: — კარგი, არ გაგამხელ... აბა, ნახვამდის.

* * *

მეორე დღეს სოსო დილაადრიან წამოხტა ლოგინიდან, მდინარეზე ჩავიდა და ცივ წყალში იბანავა. საუზმის შემდეგ კი სულ ოციოდე წუთში შემოირბინა მთელი უბანი და იმედგაცრუებული დაბრუნდა ბინაზე. ცხადი იყო, ერთ ღირსეულ პარტნიორსაც ვერ იშოვიდა ამ უბანში — ჭადრაკის დაფას თვალიც ვერსად მოჰკრა.

საზაფხულო არდადეგების შემდეგ ჯერ სახლში დაიტანჯა პარტნიორების უყოლობით. აგარაკზე რომ მოდიოდა, ყველაზე უფრო ის უხაროდა, ძლიერ მოჭადრაკეებს შეეხვდებიო... ამაოდ...

სამემოდგომო გამოცდა მაინც არ გამოყოლოდა გერმანულში. დედა ხომ დღედაღამ იმას ეჩიჩინებოდა, იმეცადინე, თორემ მეშვიდეში დარჩებიო.

ოთახში შევიდა და გერმანული ენის სახელმძღვანელო გამოიტანა. იქვე, მეზობელ ოთახში, რომელიც ჯერჯერობით თავისუფალი იყო, ხის საწოლზე მოიალათა და წიგნი გაშალა. ორიოდე წინადადება წაიკითხა და დიდი ვაივაგლახით თარგმნა. თვალები ეტკინა სახელმძღვანელოს ბოლოში დართულ ლექსიკონში უცნობი სიტყვების ძებნით. ძლივს იპოვიდა საჭირო სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ დასურავდა თუ არა ლექსიკონს, მაშინვე ავიწყდებოდა. ბოლოს მობეზრდა, წიგნი გადაშლილი დატოვა და გარეთ გამოვიდა.

* * *

საღამოს მ.იღრუბლა, წამოწვიმა და შემდეგ მთელი ორი დღის განმავლობაში აღარ გამოუდარებია. სოსო ცხვირჩამოშვებული დადიოდა აივნის ერთი კუთხიდან მეორეში. კიდევ კარგი, გვერდითა ოთახი ჯურჯერობით თავისუფალი იყო. სოსო, როცა აივანზე ყიალი მობეზრდებოდა, იქ მოიკალათებდა, ჯიბის პატარა ჭადრაკს და საჭადრაკო ბიულეტენებს გადაშლიდა და ოსტატების მიერ ნათამაშევი პარტიების გარჩევით იკლავდა თამაშის წყურვილს. ყოველი შემთხვევისათვის გერმანული ენის სახელმძღვანელოც იქვე ედო გადაშლილი. ვინ იცის, მოულოდნელად დედა შემოსულიყო, ან ბებია. მაშინვე დახურავდა ჭადრაკს, ბიულეტენებსაც გვერდზე გაუცოცებდა და სახელმძღვანელოს ჩაუშტერდებოდა.

მაგრამ ეს ჩინებული „სამშაო კაბინეტი“ მალე დაკარგა სოსომ.

მესამე დღეს მათ სახლს ტაქსი მოადგა. იქიდან ერთი მოხუცი ქალი და მაღალი, ახალგაზრდა ვაჟი გადმოვიდნენ. მათ დინჯად გადმოალაგეს ბარგი და ისე შეზიდეს იმ ცარიელ ოთახში, რომ ხის საწოლზე მოკალათებული ბიჭისთვის ბოდიშიც არ მოუხდიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საღამოს, ის იყო დაძინებას აპირებდა, რომ მეტად საგულისხმო საუბარი ჩაესმა და მაშინვე ყურები სცქვიტა.

— თეკლე, ქალო, — ეუბნებოდა ბებია დედას, — რას შვრება მაგ ბაღელი, ხომ მეცადინეობს გერმანულში?

— არაფერს არ აკეთებს, — ამოოხვრით თქვა დედამ, — არაფერს არ აკეთებს...

— კი მაგრამ, მთელი დღეები მარტო რომ ზის ხოლმე?

— იმ დაწყვეტილ ჭადრაკს ჩაჭიკჭიკებს... თავს კი ისე გგაჩვენებს, თითქოს გერმანულში მეცადინეობდეს.

— ახლა მარტო დაიწყო თამაში მაგ ეშმაკის ფეხმა?! — წამოიძახა გაკვირვებულმა ბებიამ.

ქალები ერთხანს დუმდნენ. სოსოს იმედი მიეცა, რომ ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბებიამ ჩაილაპარაკა:

— რა ვქნათ მერე, ქალო, ასე შეიძლება?

— რა გუყოთ... ცოტას მოვითმენ, მერე კი მამამისთან გავგზავნი სოფელში. იქნებ იმან მაინც მოუაროს როგორმე...

— მოიცა, მოიცა, ქალო, — შეეცინტყვა ბებია, — ვინმე მასწავლებელი რომ ვუშოვოთ? უმასწავლებლოდ, აბა, რა უნდა ისწავლოს ბავშვმა გერმანულში...

— მერე სად ვეძებო ახლა გერმანულის მასწავლებელი...

— თუნდაც ის ჩვენი ახალი მეზობელი... დედა-შვილი რომ ჩამოვიდა დღეს დილით. ის ბიჭი მესამე კურსის სტუდენტი ყოფილა უცხო ენებზე. იმდენი როგორ არ ეცოდინება, მაგ ბიჭს სამიანი მაინც მიაღებინოს?...

დედამ და ბებიამ კიდევ ბევრი რამ ილაპარაკეს იმ საღამოს, საბოლოოდ კი გადაწყვიტეს, „ის სტუდენტი“ სოსოს მასწავლებლად „დაენიშნათ“.

* * *

დილას კარგი ამინდი იყო და სოსო ჩვეულებისამებრ მღინარეზე წავიდა საბანაოდ. როგორ გაიცდა, როცა სწორედ იმ ადგილას, სადაც თვითონ ბანაობდა ხოლმე, თავის მეზობელ სტუდენტს წააწყდა. სოსო იძულებული იყო მისალმებოდა. სტუდენტმა გაუღიმა და თავი დაუქნია.

ბინაზე უკვე კარგ ნაცნობებად დაბრუნდნენ. სტუდენტს მერაბი ერქვა, სულ ხუმრობდა და ისე ექცეოდა სოსოს, თითქოს მისი ტოლი იყო. ცხადია, ჯერ არ იცოდა თავისი ახალი „თანამდებობის“ ამბავი...

იმ დღეს სოსომ მთელს უბანში უძღვეული მოჭადრაკის სახელი მოიხვეჭა. ეს ნასაუზმევს მოხდა. მზე რომ კარგად ამოვიდა და საკმაოდ დათბა, მოპირდაპირე სახლის წინ ორმა ბიჭმა გრძელი სკამი გამოიტანა და ზედ ჭადრაკის დაფა გაშალა. სოსო მაშინვე იქ დაერჭო. ბიჭებმა ორი პარტია ითამაშეს. სოსომ იმდენი აქნია თავი და იხვნეშა მათი თამაშის დროს, რომ ბოლოსდაბოლოს დამარცხებული ბიჭი ადგა და თავისი ადგილი სოსოს შესთავაზა.

სოსო დაჯდა და დინჯად შეუდგა ფიგურების დალაგებას. გული აჩქარებით უცემდა.

პირველი სვლის უფლება გამარჯვებულისა იყო. მან მეფის პაიკით დაიწყო თამაში. სოსო წამით ჩაფიქრდა. მეფის პაიკითვე უპასუხოს თუ სიცილიური დაცვა ამჯობინოს? ისევ სიცილიური აირჩია. ეს დებიუტი ყველაზე საიმედოდ მიაჩნდა სოსოს და ყველაზე უკეთესადაც იცოდა. რამდენიმე სვლის შემდეგ იგი უკვე განიცდიდა მომავალი გამარჯვების სიამოვნებას. როგორც ჩანდა, ბიჭს საჭადრაკო სტრატეგიის არაფერი ესმოდა. მან ორივე კუ დასაწყისშივე გაეკალა მხეღრებში და მავეზს, ორი კუს უპირატესობის გარდა, ძლიერი ცენტრის შექმნის საშუალებაც მისცა. ბოლოს ბიჭმა იერიში წამოიწყო და მთლად გააფუჭა თავისი მეფის პოზიცია. სოსომ რამდენიმე ზუსტი სვლით მოიგერია მისი იერიში და თვითონ შეუქმნა სამმაგათ მუქარები. ბოლოს პატარა მახე დაუგო — ცენტრის პაიკი შესთავაზა. ბიჭი მაშინვე ხარბად წაეტანა მას, მესამე სვლაზე კი ლაზიერი დაკარგა და წინააღმდეგობა შეწყვიტა.

სოსომ ირგვლივ მიმოიხედა და სიამოვნებისაგან გაწითლდა. მოჭადრაკეებს ათამდე მაყურებელი შემოხვეოდა გარს; აქ იყვნენ მისი ტოლებიც და გაცილებით ხნიერებიც.

მეორე პარტია ბიჭმა უფრო სწრაფად წააგო. სოსომ დასაწყისშივე შესწირა ორი პაიკი და ელვისებური იერიში მიიტანა მეფეზე და მალე დაამშამათა კიდეც. ბიჭმა კვლავ ახალი პარტიის დაწყება დაიპირა, მაგრამ მაყურებელთა დამცინავი ღიმილი რომ შენიშნა, შერცხვა და უსაღლიოდ წამოდგა.

ზედიზედ ცვლიდნენ ერთმანეთს სოსოს მოწინააღმდეგეები, თვითონ კი, სკამს მიკრული, ზევითაც არ იხედებოდა.

შუადღე მოახლოვებული იყო, დაღლილი და ბედნიერი სოსო ბინაზე რომ დაბრუნდა.

— მოიწე აქეთ, სოსო, — უთხრა მერაბმა, რომელიც ოთახის კუთხეში თოროსთან იდგა და სოსოს საჭადრაკო ბიბლიოთეკას ათვალიერებდა, — ერთ საქმეზე უნდა შეეთანხმდეთ — გერმანული უნდა გასწავლო. ჩემი მეთოდი ასეთია: ყოველ დღე შენი სახელმძღვანელოდან თითო ტექსტი უნდა დაგასწავლო, თავისი სიტყვებითა და კითხვებზე პასუხებით. თუ ამას გააკეთებ პირობას გაძლევ, ოცი დღის მეცადინეობით შენს კლასში პირველი მოწაფე გახდები...

* * *

— სოსო, რომელი თანრიგი გაქვს? — ჰკითხა საი დღის შემდეგ მერაბმა, როცა ოთახში მარტო დარჩნენ.

— მეორე, — განგებ უხალისოდ მიუგო სოსომ, თითქოსდა, რაა მეორე თანრიგი, სახსენებლადაც არ ღირსო. — მალე პირველს ავიღებ, მაშ! — დუმატა ბოლოს.

— მეორის ნორმა როდის შეასრულე?

— წელს, მაისში, ჩვენი რაიონის მოსწავლეთა პირველობაზე... მესამე ადგილი დავიკავე...

მერაბი დაიხარა, საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოსწია, ჭადრაკი ამოიღო და ლოგინზე დადო.

— დაიწყე, ვითამაშოთ.

სოსოს თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან. ესეც ახალი პარტნიორი!

— შენც თამაშობ ჭადრაკს?!

— სულები ვიცი, — მიუგო მერაბმა, — შენი დამარცხებისათვის, ალბათ, მეტი არც არის საჭირო.

მერაბს წილი არ უყრია. თეთრი ფიგურები თავისკენ მიიხვეტა და დალაგებას შეუდგა.

სოსოს გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. „ცხადია, სუსტი მოჭადრაკეა... არც კი შერცხვა, ისე მიითვისა პირველი სვლა“, — გაიფიქრა და შავების დალაგება დაიწყო.

მერაბმა პირველი სვლა მეფის პაიკით გააკეთა. სოსომაც ასე უპასუხა. მეორე სვლაზე მერაბი არც კი დაფიქრებულა, მეფის კუს პაიკი გასწია ორ უჯრედზე.

— მეფის გამბიტი? — გაეცინა სოსოს, — კარგი გამბედაობაა...

— რაო, რის გამბიტი? — გაუკვირდა მერაბს და სოსოს თვალებში შეხედა.

„დებიუტის სახელიც არ იცის... ნეტავ, როგორ ბედავს ჭადრაკის თამაშს“, — გაიფიქრა სოსომ და ხმამაღლა გამიმრცა:

— მეფის გამბიტი... ასეთ დასაწყისს მეფის გამბიტი ჰქვია... ძლიერ მოჭადრაკეებთან ამნაირი თამაშით არაფერი გამოგივა. ამ დებიუტში მე ჯერ შავებით არ წამიგია...

— რატომ, ცუდია?

— რა თქმა უნდა, ახლა ამ დებიუტს არავინ თამაშობს.

სოსომ უყოყმანოდ აიღო შეთავაზებული პაიკი, შემდეგ სწრაფად გააკეთა როქი და შეტევა დაიწყო. მეთხუთმეტე თუ მეთექვსმეტე სვლაზე მერაბმა შამათი მიიღო.

— კიდევ ვითამაშოთ? — ღიმილით ჰკითხა სოსომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მეტი აღარ მინდა, მიუგო მერაბმა. — სწრაფად კი მომიგე, მაგრამ მეორეთანრიგოსნები მაინც ცოტა უფრო ძლიერად თამაშობენ... პირველ თანრიგზე ჯერ-ჯერობით ტყუილად ოცნებობ...

— ახალი ამბავი, — ეწყინა სოსოს, — ვითომ რატომ?

— ჯერ ერთი, მეორე თანრიგისათვის შენი თამაში სუსტია; მიკვირს, როგორ შეასრულე ნორმა... ალბათ ბედნიერი შემთხვევის წყალობით; მეორეც, შენი ნიჭის არა მჯერა... სამი დღეა წვალობ და სამიოდე წინადადება ვერ ისწავლე.

სოსოს ამკარად დაეტყო წყენა: — მართლა ხომ არ გგონია, რომ ვერ ვისწავლი, თუ მოვინდომე... უბრალოდ, მეზარება და იმიტომ, თან არც მაინტერესებს.

— ყველა უნიჭო ასე იმართლებს თავს, — მიუგო მერაბმა, — მაგრამ ფაქტი ფაქტია... ამდენი საჭადრაკო ლიტერატურა რომ გადამეკითხა, რასაც შენ კითხულობ, აქამდე დიდოსტატი გავხდებოდი...

— ოჰო, უყურეთ ერთი, — აღშფოთდა სოსო, — დიდოსტატი გახდებოდა... აბა, ადექი და გადაიკითხე, მეოთხე თანრიგსაც ვერ მიაღწევ...

— გინდა დავნაძლევდეთ? სამ დღეში ისე ვისწავლი თამაშს, ხუთი პარტიიდან ერთ ყაიმსაც ვერ გამიკეთებ.

სოსოს სიცილი აუტყდა და ლოგიზზე გადაკოტრიალდა.

— მაშინ მე სამ დღეში დავიზეპირებ იმ შენს გერმანულს თავიდან ბოლომდე...

— მოდი დავაზუსტოთ ჩვენი პირობა, — უთხრა მერაბმა ბოლოს, — სამ დღეში ვერც შენ ისწავლი იმხელა წიგნს და ვერც მე მოგიგებ ხუთიდან ხუთივეს. ბოლოსდაბოლოს მეორე თანრიგი გაქვს და ამდენი გიმეცადინია ჭადრაკში. სჯობს პირველი ორი ტექსტი ისწავლო; ორივე ერთად, დიდი-დიდი, ოთხუთმეტი სტრიქონი გამოვიდეს. მე კი სამიდან ორს მოგიგებ...

— ორი არ მინდა, თუ ერთს მომიგებ სამიდან, ნაძლევი ვარ...

* * *

მეცადინეობა ორივეს ხვალიდან უნდა დაეწყო, ასეთი იყო პირობა. სოსომ მაინც ეშმაკობა იხმარა: შვიდი თუ არა თავის ოთახში, ჩუმად გადაშალა გერმანული ენის სახელმძღვანელო, ფანქარი და რვეულიც გაიმზადა და კითხვას შეუდგა. დროდადრო კარებისაკენ იხედებოდა, მერაბმა არ შემნიშნოსო.

ტექსტიდან ყველა სიტყვა ამოიწერა ცალ-ცალკე, შემდეგ კი ლექსიკონში დაიწყო ჩხრეკა.

უცებ კარებში მერაბის ხმა გაისმა. მაშინვე მიმალა სახელმძღვანელო.

— კიდევ ერთი რამ, — უთხრა მერაბმა, — შენი საჭადრაკო ლიტერატურა უნდა მათხოვო.

სოსო წამოდგა და თაროსაკენ გაიწია, მაგრამ მერაბმა შეაჩერა: — არა, ამაღამ არ მინდა, თორემ ვინ იცის, პირობა დავარღვიო და ახლავე შევუდგე მუშაობას... ამაღამ შენც არაფერს არ უნდა ახლო ხელი, გასაგებია?...

* * *

მესამე დღეს სოსომ ორის მაგივრად უკვე სამი ტექსტი იცოდა. მესამე — სიურპრიზად უნდოდა მიერთმია თავისი ურწმუნო მასწავლებლისთვის. რა გაშტერებული დარჩება?.. ვნახავთ, ვინ არის უნიჭო...

მაგრამ დადგა ურთიერთშემოწმების დროც და მერაბმა მის აღფრთოვანებას ცივი წყალი გადაავლო. კარგია, რომ ერთი ტექსტი ზეგიდან გისწავლია, მაგრამ ეს პირობაში არ შედიოდა და ამრიგად, არ ითვლება; ტექსტების მოყოლის დროსაც ბევრჯერ შეაჩერა და გამოთქმები დაუწუნა. ბოლოს კი მოწყალედ უთხრა: არა უშავს, რაც არის არის, შენი მხრივ პირობა მაინც შესრულებულად ჩაითვლებაო.

ახლა ჭადრაკზე მიდგა საქმე. მოუთმენლობისაგან სოსომ ადგილზე დაიწყო ცქმუტვა.

წილი ჰყარეს. მერაბს თეთრები ერგო. მეორე სვლაზე მან ერთ ხანს იყოყმანა და კვლავ მეფის გამბიტი შესთავაზა.

— ესეც შენი დაწუნებული მეფის გამბიტი, — უთხრა ღიმილით.

„მთლად დაიზუთხავდა ამ დებიუტს, — გაიფიქრა სოსომ, — მაგრამ სწორედ აქ წაიტეხს ჯიხს... ისეთ სვლას მივართმევ, არც ერთ წიგნში რომ არ სწერია, აბა, ერთი ვნახოთ, როგორ გაერკვევა პოზიციაში“...

სოსომ აიღო პაიკი, შემდეგ კი სწრაფად განავითარა ლაზიერის ფრთა და მოწინააღმდეგის მოკლე როქს გრძელი როქით უპასუხა. მერაბი ღრმად ჩაფიქრდა.

კიდევ რამდენიმე სვლა და მერაბმა უხეში შეცდომა დაუშვა, ცენტრალური პაიკი დაუცველი დატოვა.

სოსომ სწრაფად დასძრა წინ მეფის ფრთის პაიკები, მერაბმა კი ლაზიერის ფრთაზე გადაიტანა თამაში. ახლა იერიშის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული ყველაფერი..

მერაბმა ლაზიერის ფრთაზე ხაზი გახსნა და შიგ კუტლები ჩააყენა. სოსომ კიდევ ერთი პაიკი მოაშორა თეთრების მეფეს, თითქმის ყველა ფიგურა მეფის ფრთაზე გადაიყვანა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა, რომ მერაბმა მოულოდნელად ეტლი შესწორა და შემდეგ სვლაზე მხედრით ქიში გამოაცხადა.

სოსოს ტანში გაიცინა. აკანკალებული ხელით მეფე კუთხეში გადაიყვანა. მერაბმა კვლავ მხედრით ითამაშა და ახლა ორმაგი ქიში გამოაცხადა — მხედრითა და ლაზიერით.

— დიდი ამბავი, — ჩაილაპარაკა ოფლში გაწურულმა სოსომ, — შეგიძლია ყაიმს მიაღწიო მუდმივი ქიშით, მორჩა და გათავდა...

სოსო ხედავდა, რომ აქ ყაიმი კი არა, მოგება ჰქონდათ თეთრებს. საჭირო იყო ლაზიერის შეწირვა მერვე ჰორიზონტალზე. იგი იძულებული გახდებოდა ეტლით აეღო ლაზიერი, რითაც გზას უკეტავდა საკუთარ მეფეს და თეთრი. მხედარი თავისუფლად აშამათებდა კუთხემი მიმწყვდეულს. მაგრამ სოსო იმედოვნებდა, რომ მოწინააღმდეგე ვერ მოისაზრებდა ამას და მუდმივი ქიშით დაკმაყოფილდებოდა.

— უყურე შენ! მართლა ყაიმს ჰგავს ეს ოხერი, — ჩაილაპარაკა მერაბმა. — ნუთუ მართლა არ შეიძლება აქ მოგება?

— შეიძლება კი არა... საიდან უნდა მოიგო, ხომ ხედავ, რა დღეშია შენი მეფე, ერთი სვლა და ფორსირებულად ვიგებ... თანაც ეტლი გაკლია უკვე...

ამ სიტყვებით სოსომ თავის მეფეს ხელი მოკიდა და ფიგურების არევა დაიპირა, მაგრამ მერაბმა ღიმილით შეაჩერა და ჰკითხა:

— ესეც შენი მეორე თანრიგი... ყაიმს დაგიხატავ ახლავე... შამათი ორ სვლაში შენ გაქვს თუ მე?..

— დაიშამათე მერე, რაღას უყურებ, — გულის კანკალით უთხრა სოსომ და ცერად გაიხედა თეთრი ლაზიერისაკენ. მერაბმა აუჩქარებლად მოკიდა მას ხელი და მეფის გვერდით დასვა.

— აბა, ჯერ ეს მსხვილი ლუკმა მიირთვი...

— სწორი ხარ, — ამოიოხრა სოსომ და ოფლი მოიწმინდა, — კარგი, ეს ერთი როგორც იქნა მოიგე, ისიც შემოხვევით... ჩემი ბრალია, ძალიან გავერთე შეტევით... პაიკით რომ მეთამაშა, ვერაფერი გიხსნიდა, — ამ სიტყვებით სოსო ფიგურების დალაგებას შეუდგა.

— დიდი ბოდიში, — მოკლედ მოუჭრა მერაბმა, დაფა გადმოატრიალა და ფიგურები შიგ ჩაყარა. — სიტყვა სიტყვაა, ერთი პარტია უკვე მოგიგე, მეტის თამაში საჭირო არაა...

სოსო დაფას დაებღუჯა. — კიდევ ერთი რა, გეხვეწები, ერთი პარტია კიდევ მეთამაშე...

— არა და არა! — მტკიცედ განაცხადა მერაბმა, — ხვალ ამ დროზე შეგიძლია მობრძანდე და ახალი ტექსტი ჩამიბულბულო.

სოსომ ნელა გაუშვა ხელი დაფას.

— ეს შემოხვევით წავაგე, იცოდე. მეტს, ერთ პარტიასაც ვერ მომიგებ...

— ვნახავთ...

— ცოტა შევარბილოთ ხვალისთვის ჩვენი პირობა, — უთხრა წასვლის წინ მერაბმა. — ორი პარტიიდან ერთი თუ მოგიგე, ნაძლევი ხარ.

— სამი იყოს, — გაჯიუტდა სოსო, — ხვალ სამიგეს მოგიგებ.

— არა, ორი... ხვალ ხომ კიდევ უფრო ძლიერ ვითამაშებ, ვიდრე დღეს.

მთელი ღამე სოსო წაგებულ პარტიაზე ფიქრობდა. ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა, იქნებ სულაც არ იყო შემთხვევითი ის დამარცხებაო. მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ მერაბს სამი დღის განმავლობაში ასეთი ძლიერი თამაში ესწავლა. დაუჯერებელია.

„არა, ნამდვილად შემთხვევით მომიგო“, — დაასკვნა ბოლოს და დაიძინა. მეორე დღეს კი გერმანული ენის სახელმძღვანელოსთან ერთად ნაძვნარში ჯიბის ჭადრაკიც წაიღო და ხუთჯერ თუ ექვსჯერ მაინც გაარჩია წაგებული პარტია.

საღამოს, გაკვეთილის ჩაბარების შემდეგ კვლავ ჭადრაკს მიუსხდნენ. მერაბს ახლაც თეთრები შეხვდა და ისევ მეფის პაიკით დაიწყო თამაში. სოსომ ჯერ დააპირა თავისი საყვარელი სიცილიური დაცვა ეთამაშა, მაგრამ იფიქრა, მერაბი ალბათ გუშინდელი მოგებით წახალისებული ისევ მეფის გამბიტს მეთამაშებაო. ამიტომ აღარ გაუშვა ხელიდან ეს ხელსაყრელი შემთხვევა მისთვის ჭაუის სასწავლებლად და თვითონაც მეფის პაიკი გასწია ორ უჯრედზე. არც შემცდარა. მერაბმა ახლაც მეფის გამბიტი შესთავაზა. მაგრამ ამ პარტიაში სოსოს უარესი დაემართა.

ფიგურების განვითარება კარგად არც კი ჰქონდა დამთავრებული, მერაბმა ლაზიერი შესწორა ორ მსუბუქ ფიგურაში, ეტლებით მტრის ზურგში შეიჭრა და სულ რაღაც მეჩვიდმეტე სვლაზე დაეშამათა შავი მეფე.

...ასე გავიდა სამი კვირა. ამ ხნის განმავლობაში სოსომ ოცდაორი პარტია წააგო და ვერც ერთი ვერ მოიგო. დღეში ერთი ხელის მეტი არც უწევდა თამაში. სოსო პირველივე პარტიას აგებდა ხოლმე. ეს პარტიები ცალკე რვეულში ჭქონდა ჩაწერილი. მორჩებოდა თუ არა მერაბის მიერ მიცემულ დავალებას, ჭადრაკს მიუბრუნდებოდა და ჩაწერილი პარტიების გარჩევას შეუდგებოდა.

* * *

სოსო აივანზე იდგა და მოწყენით გაჰყურებდა ქუჩას. წვიმდა და ქუჩაში ტალახი იდგა. ეს ერთი ხანია, ხშირად ავდრდებოდა ხოლმე და შესამჩნევადაც აცივდა. აგარაკი თანდათან იცლებოდა. ხვალ დილით მერაბიც მიდიოდა ბარში დედამისთან ერთად. სოსოს გამგზავრების დღეც არ იყო შორს. დღეს თუ ხვალ, ალბათ მათაც მოაკითხავდა ძია ჯუმბერი წასაყვანად. მალე კი საშემოდგომო გამოცდებიც დაიწყება...

— რაო, სოსო, — მოესმა უცებ, — ძალიან ჩამოგიშვია ცხვირი, ბარში წასვლა ხომ არ მოგენატრა?

სოსო შემობრუნდა. მერაბი იდგა თავისი ოთახის კარებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იღიმებოდა. ბიბმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და თვითონაც გაიღიმა.

— რას უდგეხარ მანდ, შემოდი, ჭადრაკი ვითამაშოთ, — უთხრა მერაბმა.

„მადლობა ღმერთს, — გაიფიქრა გახარებულმა სოსომ, — როგორც იქნა თვითონ შემომთავაზა, თამაში“. განგებ შეყოყმანდა, თითქოსდა არც ისე ძალიან მაინტერესებს შენთან შეხვედრა, როგორც გგონიაო, და ბუზღუნით თქვა:

— შენთან თამაში არ ღირს, ერთ პარტიას მოიგებ რაღაც ბედად და შემდეგ გარბიხარ... ეს რა ვაჟკაცობაა.—თან შიშით შეხედა თვალებში — ვაი, თუ ეწყინოს და თავის წინადადება უკან წაიღოსო.

მერაბმა გაიცინა.

— დღეს, თუ გინდა, საღამომდე გეთამაშები... ბოლოსდაბოლოს, მეც მაინტერესებს გავიგო, მართლა გეკუთვნის თუ არა მეორე თანრიგი.

— ხუთი პარტია ვითამაშოთ, — შესთავაზა სოსომ, — თანახმა ხარ?

ფიგურები რომ დააწყეს, მერაბმა სერიოზულად უთხრა:

— ოღონდ ერთი პირობა: ხუთიდან თუ ერთს მაინც მომიგებ, გეკუთვნის მეორე თანრიგი, არა და, ტყუილად თავს რად იტანჯავ, შენგან არასოდეს არ დადგება ძლიერი მოჭადრაკე...

— არა! — იწყინა სოსომ, — ვითამაშოთ ჩვეულებრივად. ხუთიდან ვინც მეტს მოიგებს, გამარჯვებულიც ის იქნება...

— როგორც გინდა, — მიუგო მერაბმა.

სოსომ ოთხი პარტია ზედიზედ წააგო. ბოლოს, სასოწარკვეთილმა, მთელი იმედები მეხუთეზე დაამყარა. აქ უარესი დეტმართა: მერვე სვლაზე ეტლი დაჰკარგა და ფარხმალი დაჰყარა.

სოსო უხმოდ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ყელში რაღაც მძიმედ მოაწვა, ცრემლები ვეღარ შეიკავა.

ერთ ხანს არც მერაბი იღებდა ხმას. მან უსიტყვოდ ჩააწყო ფიგურები და ჭადრაკი რემოდანში შეინახა. რაცა მოიხედა, სოსო კვლავ ფანჯარასთან იდგა, მისკენ ზურგშექცეული.

—აქეთ მობრუნდი, — უთხრა მერაბმა.

სოსო ადგილიდან არ იძვროდა. რცხვენოდა თავისი ცრემლების, ხმის ამოღებას კი არ ანებებდა ის რაღაც, ყელში რომ ებჯინებოდა.

— კარგი, გეყოფა, — წყნარად თქვა მერაბმა, — სამი წელია პირველთანრიგოსანი ვარ... ეგღა მაკლია, შენ ვერ მოგიგო...

სოსო მაშინვე შემობრუნდა გაოცებული. უეცრად დაავიწყდა, თვალები ცრემლებით რომ ჰქონდა სავსე. ერთ ხანს ასე შეჰყურებდა, შემდეგ თავი დახარა, ცრემლები მოიწმინდა და გაიცინა იმ კაცის მორცხვი და ბედნიერი სიცილით, რომელიც ახლახან მაღალი ხიდან გადმოვარდა და საშინელი ღრიალი ატეხა: „მიშველეთ, ვკვდებიო“, რამდენიმე წამის შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ერთი ფრჩხილიც არ ჰქონია დაზიანებული.

მრომისმოყვარე გოგონები

პლანტაციაში, ჩაის ბუჩქს ძლივს სწვდებოდა პატარა თითებით, თავზე დიდი ჩალის ქუდი წამოდო და გგერდით პატარა კალათა მოედგა. ფარდულიდან შეამჩნიეს პლანტაციაში გაშლილი ბავშვები. ბრიგადირმა იწყინა:—შემოპარულან! ასე პატარებს აქ რა უნდათ, საბავშვო ბაღი კი არა მაქვსო. მერე ახლოს მივიდა და იმ თითისტოლა გოგონას ჰკითხა:

— ვისი ხარ, შვილო?

— ძაკუსი.

— რომელი ძაკუსი?

— კალანდიასი ვარ, ძაკუ კალანდიასი,—თამამად უთხრა შავტუხა გოგონამ.

— ახ, შენ დენიზა კალანდიას და ბრძანდები?—გაეხუმრა ლამზირას და მარცხენა ხელი თმაზე გადაუსვა, მარჯვენა კი გაუწოდა და უთხრა:

— გამარჯობა შენი, პატარავ, ვიცნობდეთ ერთმანეთს.

— მე თქვენ გიცნობთ, ბიძია, თქვენ პირველი ბრიგადის ბრიგადირი ბრძანდებით.

— აბა, გვარს და სახელს თუ მეტყვი, ბიძიკო?

— ალიოშა ივსია ბრძანდებით.

— მართალი ხარ. შენ რა გქვია?

— მე ლამზირა ვარ.

— მერამდენეში სწავლობ?

— მესამე კლასში გადავედი.

— ეს მეორე ვინღაა?—ბრიგადირმა კარგა შორს წასულ გოგონაზე მიუთითა.

— ეს მეოთხეკლასელია, გული უბირია.

— მერე, თქვენთვის ხომ არავის დაუვალებია ჩაის კრეფა, რატომ გამოსულხართ? ამ სიცხე-პაპანაქებაში ჩვენც გვეჭირს აქ ყოფნა და თქვენთვის ჯერ ადრეა, შვილო, ადრე. დაიზრდებით და მოესწრებით.

დები დენიზა და ლამზირა კალანდიები

— ბიძია, მოვკრეფ ჩაის, დედას ვფიცავ, კარგს მოვკრეფ, კარგი კრეფა ვიცი, სულ პირველი ხარისხის ფოთოლს მოვკრეფ. დენიზა მეორე წელია თქვენთან მუშაობს, თვითონ ყიდულობს თავისთვის წიგნსაც და ტანსაცმელსაც... მეც მინდა...

— აბა ჰკრიფე და ვნახოთ, როგორი მეჩაიე ხარ.

გოგონას გაუხარდა და მადლიერი თვალებით შეხედა ბრიგადირს. მერე ჰატარა კალათა ქამრით წელზე მიიმაგრა, შემდეგ კი ორივე ხელით დუყებს ეცა. პატარა თითები სწრაფად პოულობდა მოსაკრეფს და რამდენიმე ხანში გაავსო კალათა. ბრიგადირმა კარგა ხანს უყურა ლამზირას, შემდეგ ახლოს მივიდა. ჯერ ნაკრეფი ბუჩქი შეათვალიერა, მოეწონა, შემდეგ კი კალათში ჩაიხედა, ხელი ჩაყო, მოკრეფილი ფოთოლი ამოიღო და გასინჯა. გაოცდა, არ მოელოდა ამ ერთიციდა გოგონასაგან, ნამდვილად არ მოელოდა.

— შვილო, ვინ გასწავლა კრეფა?

— დენიზამ.

— ჰო, დენიზა ჩინებული მეჩაიეა, ის სკოლაშიც კარგად სწავლობს თურმე. შენ როგორი მოსწავლე ხარ?

— მე ოთხსანი ვარ.

— ასეა, შვილო, ვინც კარგად სწავლობს, ის შრომაშიც ყოჩაღია. თქვენი დედ-მამის შვილი კარგი იქნება, კარგი. საკალანდიოს უბნელები მთელ წალენჯიხაში ნაქებნი არიან, შრომაც უყვართ და ნაშრომის მოხმარებაც კარგად იციან.

უცებ შიშველ ფეხებზე დახედა, შეწუხდა, გაუჯავრდა.

— ეს რა ამბავია, ფეხშიშველი წამოსულხარ! იქნება არ გაქვს ფეხზე ჩასაცმელი?

— როგორ არა მაქვს, ბიძია, მაგრამ...

— ახლავე გაიქეცი და ჩაიცვი რამე, თუნდაც სულ ძველი, მაგრამ მაინც გეცვას ფეხზე. ფეხი არაფერს დაადგა... თუ გინდა ჰალანტაციაში გაგიშვა, ფეხშიშველი არ დამენახო.

— ახლავე, ბიძია,—და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ დენიზა გამოჩნდა. მან სავსე კალათი ფარდულში მიიტანა. მიიტანა და ახლაღა შენიშნა უმცროსი და—ლამზირა რომ გამოსდევნებოდა ჩაის საკრეფად. დენიზა ჯერ ბრიგადირს მიესალმა.

— გამარჯობათ, ალიოშა ბიძია!

— გაიზარდე დიდი გოგო. დენიზა, წელს რას აპირებ, რამდენ ჩაის მოკრეფ აგვისტოს ბოლომდე?

გოგონამ გაიღიმა: — შარშანდელზე მეტი უნდა მოვკრიფო, წელს უკვე ოთხი თითით ვკრეფ.—მერე ლამზირას მიუტრიალდა,—წადი ახლავე, ფეხზე ჩაიცვი.

* * *

აგვისტოს მიწურულია. ჩაის მწვანე ბუჩქებთან ძლივს მოჩანან დები— დენიზა და ლამზირა კალანდიები. იქვეა გული უბრია; ცოტა მოშორებით, მეორე ნაკვეთში, უფროსი კლასელები: ნანული სახოკია და რუიზა კალანდია კალათს კალათზე სცლიან. ფარდულში მწვანე ოქრო ხვავდება. თითქოს მართლაც ოქროს ნამცეცებიაო, ისე ეპყრობიან თითოეულ ფოთოლს—მზრუნველად, სათუთად.

აი, ორი თვის შემდეგ პირველად აწკრიალდა სკოლის ზარი, ეს ხომ ზარმაცების ზარია — სოფელს ამცნობს: დღეს ზარმაცები გამოცდეს აბარებენო. საშემოდგომო გამოცდების ჩამბარებლები თავჩაღუნულნი შედიან სკოლის კარებში.

პიონერხელმძღვანელმა სულიკო კალანდიამ გახარებულმა შემოირბინა სკოლაში. ხელში გაშლილი გაზეთი უჭირავს. გაზეთში დენიზას, ლამზირას და რამდენიმე გოგონას სურათია მოთავსებული. იქვე სწერია, რომ დაბა წალენჯიხის შეროზიას სახელობის სკოლის მეოთხეკლასელმა დენიზა კალანდიამ წელს 300 კილოგრამის ნაცვლად 850 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ე. ი. შარშანდელს 350 კილოგრამით გადააჭარბა. ხოლო უფროსკლასელმა ნანული სახოკიამ 1000 კილოგრამის ნაცვლად 3000 კილოგრამი მოკრიფა, ლუიზა კალანდიამ—2000 კილოგრამი, ლამზირამაც აღებულ ვალდებულებას ორმაგად გადააჭარბაო.

წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ, სადაც ეს ხელმარჯვე გოგონები მუშაობენ, შარშან 84 ტონის ნაცვლად 97 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, წელს კი—100 ტონაზე მეტი.

რამდენიმე დღე და, ახალი სასწავლო წელი დაიწყება.

მშობლიური სკოლისაკენ ახალი ჩანთებით ხელში გაეშურებიან მზით გარუჯული დენიზა და ლამზირაც. პატარა ლამზირა მალიმალ დაიხედავს წითელ ფეხსაცმლებზე. ჩანთაში კი თავისი ფულით ნაყიდი წიგნები ექნება.

ქ. ხახუტაშვილი

ფოტო ავტორისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჯეკელას აჯანკი

ბალვა ედილაშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ვის არ გინახავთ წისქვილი, ძველებური, ჩვენებური, ჩახრიალაზე მომუშავე, დაუდგრომელი, ღარში მომდინარე წყალი რომ ეხეთქება ბორბლის ფრთებს და მძიმე დოლაბს გაშმაგებით ატრიალებს.

დოლაბზე კი სარეკელა შეუჩერებლად ხტის და ხვიმირადან კრიჭაში ჩამოსულ ხორბლის ნაკადს უბიძგებს დოლაბის ხახისაკენ, სადაც მბრუნავი ქვა მარცვლებს ფქვილად აქცევს და ძარაში ყრის

ვიდრე ადამიანი წისქვილს ასეთ სახეს მისცემდა, მუშაკაცმა თავის კუნთმაგარ მარჯვენაში მრავალჯერ გამოატარა ყოველი ნაწილი. ბევრი დრო წავიდა ამ ნაწილების უკეთესად მორგებაზე ყოყმანში.

ერთ დროს, სარეკელა რა იყო, თურმე არ იცოდნენ. კრიჭას ჭვრიტილში ბაწარი ჰქონდა გაყრილი და მისი ბოლო ხელში ეჭირა ადამიანს, რომელიც ცდილობდა მარცვალი ნებისად ჩაყრილიყო ხვიმირადან დოლაბში. ამ საქმისთვის უმეტესად ბავშვები იყვნენ მიჩენილნი. იჯდა დღედაღამ ბავშვი ბაწრით ხელში და შეუჩერებლივ აკანავებდა კრიჭას. ერთი შეხედვით თითქოს ძნელი არ არის ეს საქმე — აიღე ბაწარი ხელში და ნელ-ნელა აქანავე. მაგრამ, აბა, დაუკვირდით: მთელი დღე მისჩერებიხარ მარცვლების ნაკადს, გამაბეზრებლად, დაუსრულებლათ რომ მოედინება. აბა მცირე ხნით შეაჩერე მარცვლების დინება, ორიოდე წუთში დოლაბები ნამწვის სუნს აუშვებენ და მუშაობისათვის უვარგისი გახდებიან. ასეთ შემთხვევაში ისინი ხელახლა უნდა გამოიკოდოს. ამას კი მცირე დრო და ცოტა ძალ-ღონე რდი სჭირდება. ამიტომ იყო, რომ ბავშვისთვის წისქვილში დაყენება ნამდვილი სატანჯველი იყო. ღამე, როცა ყველა იძინებდა და ისვენებდა, ბავშვი, ბაწრით ხელში, მთელი გულისყურით მიჩერებოდა მარცვლების ნაკადს. წისქვილის ერთგვაროვანი გრუტუნი კი რულმორეულს ნანასავით ჩაესმოდა და ტკბილ ძილისაკენ ეწევიდა.

თუ ბავშვი ვეღარ გაუძლებდა და ჩაეძინებოდა, მარცვლების დენაც წყდებოდა, რაც დოლაბების გაფუჭებას — გაცვეთას იწვევდა. ამას კი როგორ აპატიებდა გლეხის შვილს წისქვილის მეპატრონე ბატონი. რამდენი ბავშვი შეწირვია ბატონის რისხვას!

ასე იყო დიდი ხნის განმავლობაში.

ერთხელ წისქვილში სამუშაოდ დააყენეს ერთ-ერთი ყმა გლეხის — ვაჟას შვილი გახა.

გახამ პირველი ღამეები კარგად გაუძლო, მაგრამ ატყობდა, რომ მერე და მერე გაუძნელდებოდა. ამიტომ დღენიადაგ სული იმას ფიქრობდა, რა ხერხი ეხმარა ამ გაჭირვებიდან თავის დასაღწევად. მამაც თავის ერთადერთ შვილს თავს დასტრიალებდა, ხშირად აკითხავდა, ამხნევებდა. რამდენჯერმე შეევედრა ბატონს, გაენთავისუფლებია გახა ამ სამუშაოდან, მაგრამ არა გაუვიდა რა.

შემოდგომის უკუნეთი ღამე იდგა. ვაჟამ იმ ღამესაც მიაკითხა შვილს. შეა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღო კარი, მოათვალიერა წისქვილი და, რა დაინახა, გახას ბაწარი ხელში არ ეკავა, გული გადაუქანდა.

— რას ჩადიხარ, ბიჭო! დოლაბი არ გაფუჭდეს, ახალი მოკოდილია, ხომ იცი რა დღე მოგელის. მოდი, ბიჭო, მოდი აქეთ, აქეთ-მეთქი, გენაცვალე! — ეშეადარებოდა მამა ძარასთან ჩამომჯდარ შვილს. მაგრამ გახა არ დაიძრა ადგილიდან. — რა დაგემართა შვილო, რა შეღოცვილიხვით გაჩერებულხარ?!

— მამი, შენ თვითონ მოდი აქეთ!

შეშინებული მამა შვილისაკენ გაემართა, თან ჭრაქი მიიტანა ახლოს, რომ გარკვევით დაენახა, თუ რას აკეთებდა გახა ხვიმირასთან. თითქოს ყველაფერს ხედავდა, და მაინც ასე უცბად ვერაფერს მიმხვდარიყო.

კრიჭაზე მიბმული ტაბიკი გამალებით ხტოდა და რაკუნობდა დოლაბზე, თან გამუდმებით აქანავებდა კრიჭას, საიდანაც, ადამიანის დაუხმარებლად, ხორბალი ნებისად იყრებოდა დოლაბის ხახაში.

ვაჟა ჭკვიანი კაცი იყო და მცირედი დაკვირვების შემდეგ ყველაფერს მიხვდა. სიხარულისაგან გაოგნებული ერთ ხანს ხმას ვერ იღებდა. მერე, სახეგაბრწყინებული შვილს მიუბრუნდა:

— ბიჭო, გენაცვალე, ეგეთი კაი რამე როგორ მოიფიქრე?

— მე სულ სხვა რამეს გაკეთებას ვფიქრობდი, მამი. აი, ეს ერთნაირი ხმაური როგორ ძილსა ჰგვრის ადამიანს. ძაან ძნელი გასაძლისია, მამი, ძაან ძნელი! მეტისმეტად რომ გამეჭირდა, ბოლოს ისღა ვიფიქრე: მოდი ამ წისქვილს სხვანაირ ხმასაც ამოვაღებინებ, ეგები პატარა შვება მომეცეს-მეთქი. ჰოდა, აი, ეგრე მივაბი ტაბიკი კრიჭას. — გახამ გაიშვირა ხელი მსტუნავი ტაბიკისაკენ, — მივაბი და, ხედავ, რა გამოვიდა?! ახლა იმას ვფიქრობდი, უკეთესად როგორ მოვარგო-მეთქი.

ვაჟამ კირკიტი დაუწყო თავისი შვილის ნახელავს. გადაწყვიტეს, რომ ხვალისათვის ვაჟა კარგ შვინდის ჯოხს გამოსჭრიდა და გახა მას მარტო ღამე იხმარდა, როდესაც წისქვილში არავინ იქნებოდა. დილით კი მეწისქვილის მოსვლამდე მოხსნიდა და ისევ ძველებურად, ბაწრით იმუშავებდა...

ასეც მოიქცნენ. მაგრამ ვაჟას გული როგორ მოუთმენდა, როცა გახას ტოლები გაჭირვებაში ეგულებოდა.

ბევრი შინდის ჯოხები გამოთალა ვაჟამ, ღამ-ღამობით მალულად დადიოდა წისქვილებში და ბავშვებს ჯოხის ხმარებას ასწავლიდა.

მთელ იმ მხარეში ჩუმი, მადლიერი ხმა დაირხა. ვაჟას სიკეთეს უქებდნენ გლეხები, წისქვილში მომუშავე ბავშვებს ფერი და ხორცი მოეცათ. ჯოხის ამბავს ყველანი საიდუმლოდ ინახავდნენ თავადისა, მოურავისა და სხვა მაგათი ჯურის ადამიანებისაგან.

ამიტომ იყო, რომ მაშინ ხალხმა ამ ჯოხს „მალულა-ჯოხი“ შეარქვა, ვაჟას კი, მისი გულკეთილობის ნიშნად, კეთილაძე უწოდა.

აბა, დიდხანს როგორ შეინახებოდა ასეთი საიდუმლო... ბოროტმა თვალმა აღარ მოისვენა, იკვლია, იძია და ბოლოს ისევ ბორტი მეწისქვილე ლუკა დაუდარაჯდა გახას. დაუდარაჯდა და წასაწრო კიდევაც, როცა ბიჭს ტკბილად ეძინა, ხოლო მის მაგიერ კი მალულა-ჯოხი მუშაობდა.

ლუკა მივარდა გახას და უმოწყალოდ დაუწყო ცემა. გახა წამოვარდა და სოფლისაკენ გაექანა საშინელი ყვირილით, ლუკა მაინც არ ეშვებოდა, ფეხდაფეხ მისდევდა.

ბავშვის ყვირილს ძაღლების ყეფა აპყვა, მალე აქა-იქ გლეხების შეძახილებიც გაისმა. ვიღაცამ გაშმაგებული ლუკა დაალაგა. შეშინებულ გახასაც მიხედეს. მაგრამ ჩოჩქოლი მაინც არ შეწყდა. შუაღამისას ატეხილმა აურზაურმა ბატონი ყაფლანიც გამოიყვანა გარეთ. იკითხა: რა ამბავიაო. როცა მოახსენეს, რაშიც იყო საქმე, ყაფლანი ჩაფიქრდა. იგი არ იყო უჭკუო კაცი და მიხვდა, რომ მალულა-ჯოხი მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა: ამიერიდან ბავშვები წისქვილში მუშაობისაგან განთავისუფლდებოდნენ და მათ სხვა სამუშაოებზე გამოიყენებდა. ყველაფერი რომ აწონ-დაწონა, ყაფლანი მეწისქვილე ლუკას გაუჯავრდა, ასეთ უბრალო რამეზე რატომ ატეხე აყალმაყალიო. მერე საჯაროდ ბრძანა, რომ იმ დღიდან ყველა წისქვილში, ბავშვების ნაცვლად, მალულა-ჯოხი გამოიყენებინათ.

ამის შემდეგ ხალხმა მალულა-ჯოხს სარეკელა დაარქვა, ერთი იმიტომ, რომ სარეკელამ მართლაც „გამორეკა“ ბავშვები წისქვილიდან; მეორეც იმიტომ, რომ სარეკელა ხვიმირას კრიჭადან მარცვლებს დოლაბის ხახისაკენ ერეკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

პიერ პაოლო პაზოლინი ნახ. ვ. ვიხოცკისა

იტალიელი მწერალი.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

საკურაო აუზში თითქმის არავინ იყო. მხოლოდ მაღაზიის რამდენიმე გამყიდველი ჩქარობდა მოესწრო გაგრილება შესვენების დამთავრებამდე. სამი საათისათვის ისინიც წავიდნენ.

შემდეგ გარიბალდის ხიდის და სიქსტის ხიდის მხრიდან ნამდვილმა კლიენტებმა იწყეს მოსვლა. სულ რაღაც ნახევარ საათში ღობესა და ტიბტივას შორის მოთავსებულ ქვეშინა პლაჟზე ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა.

საქანელაზე ათიოდე წლის ბიჭუნა იჯდა, გამხდარი, წოწლოკინა, ფართო ქერა ქოჩრით და დიდი პირით, რომელსაც ღიმილი არასდროს ცილდებოდა. ყური ტკიოდა, საშინლად დაჩირქებოდა.

ბიჭუნა მალულად შემომხედავდა ხოლმე და ვერ გაებედნა ერთხოვა, რომ გამექანავებინა. მივუახლოვდი და ვკითხე:

— გინდა გაგაქანაო?

მან მხიარულად დამიქნია თავი და უფრო ფართოდ გაიღიმა.

— იცოდე, მაგრად გაგაქანავებ, — გაგაფრთხილე ჩემ-ცილით.

— არა უშავსო, — მიპასუხა.

საქანელას ხელი ვკარი და ბიჭმა თავის ამხანაგებს გასძახა:

— ეი, ბიჭებო, მიყურეთ, რა მაღლა მივფრინავ!

ხუთი წუთის შემდეგ ის კვლავ უმოძრაო საქანელაზე იჯდა და ამჯერად მარტო შემოხედვით აღარ დაკმაყოფილდა.

— ეი, შავტუხავ, — მითხრა, — აბა, ერთხელაც მკარი ხელი!

ქანაობა რომ დაამთავრა, ძირს ჩამოძვრა და ჩემთან მოვიდა. სახელი ვკითხე.

—ნანდო, — სწრაფად მიპასუხა მან.

— მეტსახელი?

მან გაუბედავად შემომხედა, გაიღიმა და გაწითლდა. შემდეგ გაბედა:

— ჯაბახანა.

დამწვარი ბეჭები ისე გაწითლებოდა, თითქოს მზეს კი არა, ავადყოფობის სიცხეს დაუწვავსო. მან მითხრა, რომ ბეჭები ექავებოდა.

ორაციოს ტიბტივა უკვე ცირკს დამსგავსებოდა: ზოგი შტანგით ვარჯიშობდა, ზოგი რგოლებზე ქანაობდა... ზოგიც საუბრით იყო გართული, გულუბრყვილოდ დასცინოდნენ ერთმანეთს, ხუმრობდნენ, ენამახვილობდნენ. რამდენიმე ჯაკი ტრამპლინზე ავიდა — ზოგი თავდაყირა ხტებოდა წყალში, ზოგი — ხრახნისებურად, ზოგიც სარტო-მორტალეს აკეთებდა. ჰაერში. მე სიქსტის ხიდისკენ გავცურე.

ნახევარი საათის შემდეგ პლაჟზე დავბრუნდი და ტიბტივას მოაჯირზე წამოსკუპებული ნანდო დავინახე. მანაც შემამჩნია და დამიძახა:

— ეი, შენ, ნიჩბის მოსმა თუ იცი?

— ცოტათი, — ვუპასუხე მე.

იგი დარაჯს მიუბრუნდა:

— რა ღირს ნავი?

დარაჯი ნავის მისაბმელად დახრილიყო წყალზე. მან შეხედვის ღირსიც კი არ გახადა ბიჭუნა. შემდეგ ბრაზიანად წაიბუზღუნა:

— ორმოცდაათი ლირა საათში, ორ კაცზე.

— ოჰო! — წაუსტვინა ნანდომ, თან წინანდებურად იღიმებოდა. შემდეგ გასახდელში გაუჩინარდა, მაგრამ მალე გამოვიდა და ისე წამოწვა ქვიშაზე ჩემს გვერდით, როგორც დიდი ხნის ნაცნობი.

— მე ასი ლირა მაქვს, — განაცხადა მან.

— შენი ბედი ყოფილა, — ვუპასუხე, — მე კი მეჩიჩზე ვზიავარ.

— რას ნიშნავს „მეჩიჩზე“? — შემეკითხა ბიჭი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჯიბეში ერთი გროშიც არ მაქვს, — აკუხსენი.

— რატომ? განა არ მუშაობ?

— არა, არ ვმუშაობ.

— მე კი მეგონა, მუშაობდი.

— მე ვსწავლობ, — ვუთხარი და ამით თავიდან ავიცილე გრძელი ახსნა-განმარტება.

— არაფერს გიხდიან?

— სწავლისთვის მე თვითონ უნდა გადავუხადო.

— ცურავ იცი?

— ვიცი. შენ?

— ვერ ვისწავლე. მეშინია. წყალში მხოლოდ წელამდე შევდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამო, ვიბანაოთ.

მან თავი დამიქნია და ფინიასავით გამომედევნა.

ტრამვაინთან რომ მივედით, რეზინის ქუდი ამოვიღე, რომელიც ქამარში მქონდა ჩატანებული.

— რა ქვია ამას? — შემეკითხა ბიჭი და ქუდზე მანიშნა.

— საბანაო ქუდი.

— რა ღირს?

— შარშან ოთხასი ლირა მივეცი.

— რა ლამაზია! — ბიჭუნამ ქუდი დაიხურა, — ჩვენ რომ მდიდრები ვიყოთ, დედიკო მეც მიყიდდა ასეთ ქუდს.

— თქვენ ღარიბები ხართ?

— კი. ჩვენ ვია კაზილინაზე ვცხოვრობთ, ბარაკებში.

— აბა, დღეს საიდან გაქვს ფული?

— გამოვიმუშავე — ჩემოდნებს ვეზიდებოდი.

— სად?

— ვოგზალში.

მაგრამ სანამ მიპასუხებდა, ერთ ხანს ორჭოფობდა: შესაძლებელია მომატყუა, ალბათ მათხოვრობდა — ასეთი გამხდარი და სუსტი ხელებით ჩემოდნის კი არა, ოდნავ მძიმე შეკვრის აწევაც შეუძლებელია. მის დაჩირქებულ ყურს შევხედე და თვალწინ ნესტიანი ბარაკი წარმომიდგა ქუდი მოვხადე, თმები ავუჩეჩე და ვკითხე:

— სკოლაში დადიხარ?

ჩემს სიცოცხლეში არასდროს გადმოვმხტარვარ ასეთ ნისლებურად. მაგრამ ვცადე, მინდოდა მისთვის მეესიამოვნებინა. ნაპირზე რომ გამოვედი, ნანდო ძალზე კმაყოფილი შემხვედა.

— ჩინებული ნახტომი იყო! — თქვა მან.

ტიბრის შუაგულში ვიღაც ჭაბუკს კანოეს მსგავსი ნავი დინების საწინააღმდეგოდ მიყავდა.

— რა დიდი ამბავი უნდა ნავის ასე წაყვანას, — თქვა ნანდომ, — დარაჯს კი არ უნდოდა ამ ნავის ჩემთვის მოცემა!

— შენ როდესმე გიტარებია ნავი? — ვკითხე.

— არა, მაგრამ რა დიდი საქმეა?

როდესაც ჭაბუკი ტივტივას გაუსწორდა, ნანდომ წყალთან მიირბინა, მოაჯირს გადაეკიდა, ხელები პირთან რუპორივით მიიდო და, რაც ძალი და ღონე ქონდა, დაიყვირა:

— ეი, ჭაბუკო, ჩამაჯინე ნავში!

მან პასუხიც არ გასცა. ნანდო უკან გამობრუნდა და წინანდებური ღიმილით მომიახლოვდა. მაგრამ ამ დროს ჩემი ამხანაგები დავინახე და მათთან ერთად წავედი. ისინი ბანქოს სათამაშოდ დასხდნენ პატარა ბარში, ტივტივაზე. მე კი ვუცქერდი, როგორ თამაშობდნენ.

უეცრად, ნანდო მოვიდა. ხელში ნახატებიანი ჟურნალი ეჭირა.

— დავდივარ, მეორე კლასში ვსწავლობ... უკვე თორმეტი წლის ვარ, მაგრამ ხუთი წელი ავად ვიყავი... რატომ არ ჩადიხარ წყალში?

— ტრამვაინიდან გადმოვხტები.

— ხრახნისებურად გადმოხტი, — მომაძახა გადმოხტომისას. მე ძალზე უბრალო სალტო გავაკეთე და ორი მოკნეევით ნაპირზე ამოვყავი თავი.

ნაპირთან დაჭაობებული წყალი დამპალი წყალმცენარეებით და ნაგვით იყო სავსე.

— რატომ ხრახნისებურად არ გადმოხტი? — შემეკითხა ბიჭუნა.

— კარგი, ახლა ვცდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, წაიკითხე, — მითხრა. — ეს ჩემია.

რომ მესიამოვნებინა მისთვის, ჟურნალი გამოვართვი და თვალიერება დავიწყე. მაგრამ ბარში შემოსულმა ორაცეომ სიტყვის უთქმელად გამომგლიჯა ჟურნალი ხელიდან, კუთხეში ნაღვლიანი სახით მიჯდა და კითხვაში გაერთო. ეს მისი ჩვეულებრივი ხუმრობა იყო. მე გამეცინა და კვლავ ბაჭოს მოთამაშეებს მივუბრუნდი. ნანდო დახლთან მივიდა.

— მე ასი ლირა მაქვს, — მიმართა მან დარაჯს, რომელიც მებუფეტეც იყო. — რა შემიძლია ამ ფულით ვიყიდო?

— ლიმონადი, ლუდი, ხილის წყალი.

— რა ღირს ხილის წყალი?

— ორმოცი ლირა.

— მომეცი ორი ბოთლი.

ვიდაცამ მხარზე მომითათუნა. მოვბრუნდი და ხელში ნანდო შემრჩა, რომელსაც ჩემკენ ბოთლი გამოეწოდა. გული შემეკუმშა, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე. ხილის წყალი დავლიე და ნანდოს ვკითხე:

— ორშაბათს ან სამშაბათს იქნები აქ?

— კიქნები, — მიპასუხა მან.

— მაშინ მე დაგპატიჟებ, მერე კი ნავს ვიქირავებთ.

— მაშ, ორშაბათს? — შემეკითხა ბიჭუნა.

— ზუსტად ვერ გეტყვი. შეიძლება არ მეცალოს. მაგრამ თუ ორშაბათს არა, სამშაბათს აუცილებლად მოვალ...

ნანდომ დარჩენილი ხურდა გადათვალა.

— ოცდაორი ლირა დამრჩენია, — თქვა მან, მხიარულად გაიღიმა და გამაგრილებელი წყლების ბოთლებზე დაკრული იარლიყების კითხვას შეუდგა.

— რა შემიძლია ვიყიდო ოც ლირად? — კვლავ კითხა მან დარაჯს.

— გირჩევნია შენთვის შეინახო, ბიჭიკო, — უპასუხა მან.

— აი, ნახე, — ვუთხარი ნანდოს, — არის გაზიანი წყალი. ჰიქა ათი ლირა ღირს.

— ეს წყალი თბილია, — შენიშნა დარაჯმა.

— რა შემიძლია ვიყიდო ოც ლირად? — არ ისვენებდა ნანდო.

შემდეგ დარაჯს უთხრა:

— არა უშავს, იყოს თბილი, დამისხი ორი ჭიქა.

დარაჯმა დაუსხა და ნანდო ჩემკენ მობრუნდა:

— დალიე.

მას სურდა ერთხელ კიდევ ეცა ჩემთვის პატივი.

— თუ დრო გექნება, მოხვალ ორშაბათს? — მკითხა მან.

— რასაკვირველია. და ნახავ, რომ ჩემთან პატივისცემა არ დაგეკარგება, კარგ დროს გავატარებთ ერთად.

შემდეგ ნანდომ ისურვა ცოტა კიდევ ექანავა საქანელაზე. ისე მაგრა გავაქანავე, რომ მან ყვირილი დაიწყო:

— მეყოფა, თორემ თავბრუ დამეხვა! — თან გულიანად ხარხარებდა.

უკვე შებინდდა და ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ეხლა კი მოუთმენლად ველი როდის მოვა ორშაბათი, რომ ნანდოს ცოტაოი მაინც ვასიამოვნო: მე უმუშევარი ვარ. ერთი გროშიც არ მაბადია, მაგრამ ნანდომაც ხომ უკანასკნელი ასი ლირა დახარჯა ჩემთვის. ამას რომ ვფიქრობ, ძლივს ვიკავებ თვალებზე მომდგარ ცრემლებს.

თარგმნა ზ. ობოლაძემ

ჰაიდერის სურვილი

ალიო მირცხულავა

ზსურს გავემარ[illegible] ცის ზომალდი,
კოსმოსური, მაგარი,
[illegible] თვით ციძლამდი
და გაკუსწრო გაკაიინს.

რავეუქროლო გეკრდით მთვარეს,
ზუდ დავარჭო ალამი,
[illegible] უცხო მხარეს
[illegible]

[illegible] იქ ბუნემა,
[illegible],
[illegible],
[illegible] დაბრუნემა
[illegible]

და მთვარეზე ის ალამიც
ნენოის როგორც კოცონი,
[illegible] დღეს და ღამის
ხმები სასიცოცხლო[illegible].

გამოვბრუნდე ციდან მაშინ
კოსმონავტი ქებული
და ქალაქსაც, ხალხი ტაშით,
დამხვდეს აღტაკებული.

მნახონ გმირი საკვირველი,
ცაში მოსასკარეზე
ვინც არ შედრკა — და პირველი
გადაფრინდა მთვარეზე.

მე ფიქრებმა გამიტაცეს,
განვლილ ორეზლის გუნდები,
ცაში ვიყავ, და მიწაზეც
ფრთაშეკვეცილი ვბრუნდები.

შენ მიყვარხარ, საქართველო,
ორმაა ცოდნის წყურვილი,
გავხდე გმირი სასახელო, —
აი, იგი სურვილი.

თბილისის ქუჩის კიბეს

მიიწურა სასწავლო წელი. სკოლაში უკანასკნელად აწკრიალდა ზარი, დაცარიელდა საკლასო ოთახები და კაბინეტები, პიონერ-მოსწავლეებმა ბანაკებს მიაშურეს, აახმიანეს ჩვენი ქვეყნის ველები და მინდვრები, მთები და ხეობები. საღამოობით პიონერულ კოცონებთან იყრიან თავს და, რომანტიკით აღსავსე პიონერული ზაფხული თანდათან შედის ძალაში...

პიონერ-მოსწავლეების ნაწილი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ქალაქში დარჩა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი მოწყდნენ პიონერულ ცხოვრებას და მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე გულხელდაკრეფილნი იქნებიან, არა! მათთვის ჩვენი დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა საქალაქო პიონერული ბანაკები. ერთ-ერთი ასეთი ბანაკი თბილისის ვაკის პარკში, თრიალეთის ქუჩის ძირას, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ბანაკის ტერიტორიის მოწყობა თვითონ პიონერებმა იკისრეს და უნდა გენახათ, რა გულისყურითა და მონდომებით ფუსფუსებდნენ ისინი. მეორე რაზმის პიონერები: ძმები ნოდარ და ტარიელ მგლოველები და მერაბ და ზურიკო საჩანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პიონერული ხაზის გამართვაში. ბიჭებმა მეტი სიზუსტისათვის კანაფები გააბეს, მერე რიყის ქვები მოზიდეს, კანაფის გასწვრივ ჩაამწკრივეს და კირით შეათეთრეს. მოედნის შუაგული, კირითვე შელესილი რიყის ქვების ხუთქმიანი ვარსკვლავით დაამშვენეს.

მეორერაზმელები თუ პიონერულ ხაზს აწყობდნენ, პირველრაზმელებმა ბანაკის პლაკატებითა და ყვავილების გირლიანდებით დამშვენება იკისრეს. იური პალაიტიდი, ვლადიმერ კოტლერი და ლეონიდ კლიმაშენკო ხეებზე ციყვებივით დახტოდნენ და კანაფზე აცმულ პატარა ალმებს კოხტად ამაგრებდნენ ტოტებზე.

მარინე და მანანა გარსევანიშვილები, ლუიზა ნადიაშვილი, რუსლან მაისურაძე და სხვები პიონერთა ოთახის მოწყობაზე ზრუნავდნენ. გამალებით ემზადებოდნენ ცეკვისა და მხატვრული კითხვის წრეები. ეს გასაგებიც იყო—ახლოვდებოდა ბანაკის საზეიმო გახსნის დღე და, აი...

— რაზმეულო, სმენა!—გაისმა იმ დღეს უფროსი პიონერხელმძღვანელის ბრძანება,—სწორდი!—რაზმებს დუმილმა გადაუარა.

— რაზმების ხელმძღვანელებო, მოემზადეთ პატაკისათვის!—და რაზმის ხელმძღვანელებიც რიგ-რიგობით აბარებდნენ პატაკს, მერე კი, ყველაფერი თავის რიგით წავიდა; პიონერული საყვირისა და დოლის ხმაშეწყობილ გუგუნში, რაზმეულის მედროშემ გივი კაკულიამ საზეიმოდ შემოიტანა დროშა. გივი ანჯაფარიძემ და



ლუდმილა ვალიევამ ნელ-ნელა აღმართეს ბანაკის სარაკი.

ბანაკის საზეიმო გახსნაზე საგანგებოდ მოწვეულ თმაშეეერცხლილ „პიონერებს“ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მეორე რაზმის პიონერმა თინა ბეღანიშვილმა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ძველი პიონერი მარინე ბოგდანოვა. მან მოკლედ მოუთხრა პატარებს იმ პიონერული რაზმებისა და რაზმეულების საქმიანობაზე, რომლებიც ამ 40 წლის წინ ჩამოყალიბდა საქართველოში. სიტყვის დასასრულს, მან ახალ-ახალი წარმატებები უსურვა პიონერებს სწავლასა და შრომით საქმიანობაში.

პიონერული ხაზის შემდეგ ბანაკის პიონერებმა ძვირფას სტუმრებს თავიანთი თვითშემოქმედება გააცნეს. პირველი და მეორე რაზმების პიონერები ერთმანეთს ეცილებოდნენ სიმღერაში და დამსწრეთა მოწონებაც დაიმსახურეს. აბა, ეის არ მოეწონებოდა მეხუთეკლასელი ტატიანა ნიკულინასა მხატვრული ტანვარჯიში, მისი ტანის მოქნილი და რიტმული მოძრაობა, მეოთხეკლასელის ანა ღარიბოვას მიერ შესრულებული მანანას სიმღერა კინოფილმ „მანანადან“, მანანა გარსევანიშვილის მიერ ოსტატურად წაკითხული იუმორისტული ლექსი „ძილისგუდა“ და სხვა მრავალი.

უნდა გენახათ პიონერების აღტაცება და სიხარული, როცა პატარა მესპინძლები ძველმა სტუმრებმა შეცვალეს და თავიანთი ძველი პიონერული სიმღერები შეასრულეს: „ეაშა-ვაშა“, „გაბედულად, მეგობრებო, წინ“, „პიონერული კოცონი“ და განსაკუთრებით კი პიონერული სახუმარო სიმღერა „კარტოფილი“ დიდხანს ემახსოვრებათ პატარებს. სიმღერებს ცეკვები მოჰყვა და პირველმა ილია ბაკაურმა გაშალა მკლავები. ილია გიორგი ავაკიანმა და ეკატერინე თავზარაძემ შეცვალეს. საერთო მხიარულების დასასრულს სტუმრებმა და მასპინძლებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს. დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ ნორჩ პიონერებს ეს შესანიშნავი შეხვედრა თმაშეეერცხლილ „„პიონერებთან“.

თ. ცაგარელი

ფოტო ავტორისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი მეხანძრეები

სულხან აბდალაძე

ნახ. ჯ. ლოლუახი

მზეს მხრებგაშლილი ეგებება
შვიდი ბიჭი გულითა,
კასრი წითლად შეღებეს და
ზედ დაადგეს ურიკას.

დაამგვანეს ბაბუს კაკვიც
მეხანძრეთა იარაღს.
რაზმში არის შვიდი კაცი,
შვიდი თვალებბრიალა.

გრძელი კიბეც გაჩნდა აქვე,
ბიჭებს გაუხარიათ.
საკამათო მორჩა საქმე,
ვანო—რაზმის თავია.

წაუკიდეს ცეცხლი ჩალას,
ვითომც სახლი იწვება,
რაზმი უცებ გაიშალა,
არის თავდავიწყება.

აგერ მილიც გაუმართავთ,
წყალიც აქ იშოვება,
თითქოს სოფლად გაჩნდა მართლა
ხანძრის საშიშროება.

რაზმის თავი ბორცვზე დადგა
და ბრძანებებს იძლევა:
— მილი მაღლა!
— ნიკო, მარდად!
— მედგრად, რაც შეიძლება.

ტრიალებდნენ ყმაწვილები,
არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს,
უცებ ალი გადაენთო
ბოსლის ახლოს საღორეს.

დედა ღორი გამოვარდა,
საღორიდან ვიშ-ვიშით,
დათო ბიჭი იქცა დარდად,
— ცეცხლთან ახლოს მიმიშვით!

შეკრთა რაზმის მეთაური,
დასცემია თავზარი:
„დავიღუპეთ ნამდვილადო,
გავაჩინეთ ხანძარი!“

— წყალი დოქით!
— წყალი კასრით!
— ჩქარა კიბე, ბავშვებო!
აქ მოგროვდით მთელი რაზმი,
ამ საღორის გარშემო.

დატრიალდა რაზმი მარდად,
დაფაცურდნენ ნორჩები,
სათითაოდ გამოპყავდათ,
საღორედან გოჭები.

უმშვერს დათო გაოცებით,
გული უცემს საშინლად,—
მინდვრად, სადაც ყანა ვრცელი
ჭალასავით ამლილა,—

გლეხკაცები ჰყრიან თოხებს,
დღეს ნატრობენ გუშინდელს,
ჰა, მდინარე გამოსტოპეს,
ტალღებს არ შეუშინდნენ.

დგას მაღალი ოდა-სახლი,
ცეცხლის შუქზე ბრწყინდება,
ცეცხლი დროზე თუ არ ჩაქრა,
მასაც წაეკიდება.

ხალხს სად ჰქონდა ამის თავი,
ეზო ტბორით მოფინეს.
და სახანძრო რაზმისათვის
ქალაქს შეატყობინეს.

ქალაქიდან მოპქრის ავტო,
პილიბილივით ელვარე,
მძლავრ გუგუნით ჰაერს აკობს,
დღე დაუდგა მღელვარე.

მანქანიდან წამოფრინდნენ
მაღლები და ბრგეები;
გრძელ, დახვეულ მილებს შლიდნენ
მკვირცხლი მეხანძრეები.

და სახლს ხანძრის ასცდა შვავი,
ცოტა მისწვდა კარებში.
საღორე კი დარჩა შავი,
შავი, როგორც კამეჩი.

მეხანძრეთა რაზმის თავმა
(ყველა კრძალვით უცქერის)
მშვიდად გახსნა სავსე ჩანთა,
ამოიღო ფურცელი.
— როგორ გაჩნდა ცეცხლი ამ დროს—
საჭიროა გარკვევა!..
ამას ვანო-ბიჭიც დარდობს,
სხვაზე არანაკლებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ წელში გაიმართა—
აწუხებდა სათქმელი.
— მოგვისწარით კარგ დროს მართლაც
და მეც რაზმის სახელით

დიდ მადლობას გწირავთ, ძია,
რომ ჩააქრეთ ხანძარი.
ჩვენ მეტი რა შეგვიძლია,
მთელი რაზმი დავძარით,—

თქვა და ძიას ხარბად უცქერს
შავ თვალების ციმციმით.
აქ, თავმოყრილ ხალხში უცებ
გახმიანდა სიცილი.

გამურულნი, შავზე-შავნი,
იდგნენ გაშლილ მკერდითა.
საწყალ დათის თეთრი შარვლის
ნაფლეთები ეკიდა.

ძიამაც არ დააცალა,
— სწორდით!—ბავშვებს მიმართა.
(შვიდი ბიჭი, როგორც ტალღა,
ისე წამოიმართა)

და თქვა:
— მომწონს რაზმი თქვენი,
გულით მოგესალმებით.
(დაუბრუნდათ ვარდისფერი,
გაუბრწყინდათ თვალები).

მაგრამ გერგოთ საყვედურიც,
დამერწმუნეთ ამაში,
რომ მიზეზი იყო ხანძრის,
თქვენი ცეცხლთან თამაში.

დიახ, უნდა გითხრათ აქვე,
და ნუ გაგიკვირდებათ,
რომ სახანძრო რაზმის საქმეს
ჯერ შესწავლა სჭირდება!

და იმედი გქონდეთ ჩვენი,
სწავლას არ დაგზარდებით.
გვჯერა, როცა გაიზრდებით,
ჩვენს რიგებში ჩადგებით,

რომ დაიცვათ მშობელ ქვეყნის,
მშრომელ ხალხის ქონება—
კარგი არის, რაც რომ მეტი
მეხანძრე გვეყოლება!

თოჯინები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ულამაზეს კუთხეში — ტიურინგიაში მდებარეობს პატარა ქალაქი ზონენბერგი. ზონენბერგი, სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, მზის მთას ნიშნავს, ალბათ, ეს სახელწოდება ამ ქალაქმა მზის ჭარბი მცხუნვარების გამო მიიღო.

ზონენბერგის ერთ-ერთ ორსართულიან შენობაში თავი მოუყრიათ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ეროვნების თოჯინებისათვის. ამ სასახლეს თოჯინების მუზეუმი ეწოდება. აქ შეგიძლიათ ნახოთ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის თოჯინები: საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკის, რუმინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ჩინეთის, აფრიკისა და სხვ.

თოჯინების ხნოვნებას შორის დიდი განსხვავებაა. აქ არიან უხუცესი თოჯინები, რომლებიც აქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოხვდნენ და მათი ხნოვანება რამდენიმე ათასეულ წელს ითვლის. რაკი სიტყვა უძველესი თოჯინების შესახებ ჩამოვარდა, მინდა მოკლედ მოგითხროთ საერთოდ თოჯინების წარმოშობის შესახებ. როგორც ზემოთ ვთქვით, თოჯინები ჯერ კიდევ უძველეს ხანაში გაჩნდნენ. ძველადაც უყვარდათ ბავშვებს სათამაშოები. სათამაშოებს ჩვენი წინაპრები ხისაგან, თიხისაგან ან ძვლისაგან ამზადებდნენ. მათ უმთავრესად ცხოველთა გამოსახულება ჰქონდათ, უფრო მოგვიანებით კი ადამიანის მსგავსი გამოსახულების მქონე თოჯინების გაკეთებაც ისწავლეს. პირველი სათამაშო, რომელიც ადამიანმა გამოიგონა, იყო სახრაკუნებელი. ამ მრგვალი ფორმის სათამაშოს ადრე ჩალისაგან წნავდნენ და შიგ ქვას ან რაიმე სიმძიმეს ათავსებდნენ.

დროთა განმავლობაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მეშვიდე საუკუნეში, ადამიანმა შექმნა მოძრავკიდურებიანი თოჯინები. ადამიანის განვითარებასთან ერთად თანდათან თოჯინებიც ეითარდებოდნენ.

ზონენბერგის მუზეუმის თითქმის ყველა თოჯინა ანსახიერებს თავისი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, ამავე ქვეყანაში გავრცელებული ლეგენდა-

სკეიჭოები

ზღაპრების ცნობილ გმირებს, ან ცალკეულ პირებს. თოჯინები უმეტესად სხვადასხვა საქმიანობით არიან გართულნი. მაგრამ აქ უსაქმურ თოჯინებსაც ნახავთ, რომლებიც ზოგიერთ თქვენს თანატოლს მოგვაგონებენ.

ზონენბერგის მუზეუმის თოჯინების აღწერილობა და მათი საქმიანობა შორს წაგვიყვანდა. მე მინდა თქვენი ყურადღება მხოლოდ ორ ბებია-თოჯინაზე შევაჩერო. ერთ მათგანს ხელში წინდა უჭირავს და თვალებდახრილი ქსოვს; თითქოს შენს მიახლოებას გრძნობს და რაღაცას გესაუბრება. გიზიარებს თავის დარდს თუ სიხარულს. ისე ამოძრავებს ტუჩებს და თვალის ქუთუთოს, როგორც ცოცხალი ადამიანი. ცოტა ხნის შემდეგ თითქოს დაიღალაო, ამოიოხრებს, თვალებში შემოგაცქერდება, თვალს თვალში გაგიყრის, იყევ დახრის თვალებს და განაგრძობს ქსოვას. ასეთივეა მეორე ბებია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ჯარაზე ართავს.

მაგრამ ყველა თოჯინა როდია დარდიანი და საქმით მოუცლელი. ესენი მოხუცები არიან და მოხუცების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, მუდამ საქმიანნი და ზოგი მათგანი გულჩათხრობილიც არის ხოლმე. თუ ძალიან მოგაწყენთ ასეთი თოჯინები. აქ მხიარული თოჯინებიც არიან. მაგალითად, ზოგი თოჯინა მუსიკოსია. მხიარული მუსიკით გაგართობს; ზოგი მოცეკვავეა — რამდენიმე წყვილი ქალ-ვაჟი ევროპულ ცეკვას ასრულებს.

ვინ მოთვლის, რამდენი სხვადასხვა თოჯინაა აქ. განა დათვლება ქვეყანაზე რამდენი ადამიანია და რას აკეთებს იგი? აი, მაგალითად, ეს პატარა თოჯინა, ცირკში ალბათ, ყველანი ყოფილხართ და, ცხადია, გახსოვთ ტაკომსხარა. ერთ-ერთი მათგანი აქ მოსულა, მას ჭრელი ტანისამოსი აცვია, ცალ ხელში პატარა ჯოხი უჭირავს და ცალი ხელი კი კონუსისებურ ქუდზე აქვს ჩაკრული; ორნბაზისათვის ჩვეული მხიარული სახით შემოგცქერის და ითვლის: „აინ“, „ცვაინ“, „დრაინ“. სწევს ქუდს და გიჩვენებს კამათლებს; ისევ დაითვლის: „აინ“, „ცვაინ“, „დრაინ“ და ახლა ფერად ცხვირსახოცს გიჩვენებს, ისევ დაითვლის და ახლა სხვა რამეს გამოაჩენს. აბა, რის ტაკიმასხარაა თუ მნახველი არ გააცინა!

აგერ, ფორმაში გამოწყობილი სპორტსმენი სავარჯიშო ღერძთან დამდგარა, ადგილზე შესწორდება, გაიჭიმება, ემზადება ღერძზე ასასვლელად. ადის კიდეც, ხელყირას აკეთებს და იწყებს ტრიალს ღერძის გარშემო, ბოლოს კი ისევ ძირს ეშვება.

ამ მუზეუმს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს — როგორც პატარები. ისე მოზრდილები. მნახველები აღტაცებული რჩებიან თოჯინების სამყაროს ხილვით.

ციალა ყარაულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა და შვილი

ჩაის პლანტაციებს თეთრი პპლე-ბივით შესცვიან მოსწავლეები.

ბავშვები სწრაფად გადადიან ბუჩ-ქიდან ბუჩქზე, ზედიზედ ავსებენ კა-ლათებს.

მწონავთან მაღალი, შავგვრემანი გოგონა მივიდა.

— კიდევ?—გაოცდა მწონავი.

— დიახ,—გაეღიმა გოგონას.

აწონეს. ათი კილოგრამი გამოვი-და. გოგონამ ისევ სასწრაფოდ მია-შურა ჩაის ბუჩქებს. მწონავმა თვა-ლი გააყოლა და გაიფიქრა: „სწო-რედ ამაზე უთქვამთ — დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე". კოტე სანდუხაძე მთელ საბჭოთა კავ-შირშია ცნობილი და რა გასაკვირია, შვილიც მამას დაემგვანოს!—ფიქრი ჩაის ასაწონად მოსულმა პიონერებმა შეაწყვეტინეს. მწონავი დინჯად სწონიდა ჩაის და თან ეუბნებოდა ბავშვებს:

— მართალია, თქვენც თავდადე-ბით მუშაობთ, მაგრამ ლეილა მაინც გჯობნით. უკვე ოცდახუთი კილოგ-რამი აქვს მოკრეფილი და საღამომ-დე კიდევ მოკრეფს ოცს.

ბავშვებს ეღიმებოდათ, წონიდნენ ჩაის, იღებდნენ მწონავის შენიშვნებს და კვლავ პლანტაციისაკენ გარბოდ-ნენ, რათა დასწეოდნენ გმირის ქა-ლიშვილს—ლეილა სანდუხაძეს.

* * *

სოფელში შემოდგომის სიცივე იდ-გა. გრილი ნიავი ქროდა. მინდერად მომუშავენი შინ ბრუნდებოდნენ. პიონერებიც ჯგუფ-ჯგუფად მოდი-ოდნენ, ისინი ხვალინდელი დღის გეგ-მაზე მსჯელობდნენ. მეორე დღეს სკოლაში უნდა ყოფილიყვნენ კომკავ-შირის კრებაზე და შუადღემდე კოლმეურნეობაში ვერ მივიდოდნენ, ე. ი. ვერ მოასწრებდნენ განზრახული

რაოდენობის ჩაის მოკრეფას და ეს სწყინდათ. ისაუბრეს, იდავეს ბავშ-ვებმა და გვიან საღამოს გასწიეს თავიანთი სახლებისაკენ.

* * *

— ბებიკო, ნახე!—გახარებული ლეილა ბებიას ყელზე ჩამოეკიდა.

— რა იყო, ბებია შემოგეგლოს, რამ გაგახარა?

— დღეს კომკავშირში მიმიღეს,— უთხრა ლეილამ და ეზოში შემო-სულ უმცროსი ძმისაკენ გაიქცა.

— მომილოცავს,—დინჯად მიუგო ძმამ და სანამ კიდევ რამეს დაუმა-ტებდა, ლეილა უკვე შორს გარბოდა დედის საძებრად.

* * *

დღეები გადიოდა. ლეილას აქებდ-ნენ, ნაშრომს უწონიდნენ.

როდის ჩამოვა მამა?—მოუთმენ-ლად ელოდა ლეილა. უნდოდა მალე გაეგო მამას მისი წარმატებების ამ-ბავი.

კოტე სანდუხაძე ყირილობაზე იყო მოსკოვში. რამდენ ახალ ამბავს ეტ-ყვის მამა, როცა დაბრუნდება! მამა ყოველთვის სამაგალითო იყო ლეი-ლასათვის.

კოტემ პირველ წარმატებას 1955 წელს მიაღწია. შორს გაითქვა სახე-ლი ორსანტიელმა მესიმინდემ, ალა-პარაკდნენ მის გმირობაზე. კოტე კი მიღწეულით არ კმაყოფილდება. 1961 წელს ჰექტარზე 200 ცენტნერი სი-მინდი მოიყვანა და მას სოციალის-ტური შრომის გმირის წოდება მიანი-ჭეს.

არა, ლეილა არ შეარცხვენს საყ-ვარელ მამას, ძალღონეს არ დაზო-გავს, იმუშავებს, იმუშავებს და კმა-ყოფილი მამაც ეტყვის „ყოჩაღ, შვილო!"

ალბინა ჯანჯღავა,

ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი

დონ-კიხოტი

მაიმუნი

სპორტსმენი

ჯერ კიდევ ხუთი ხლისა იყო მიტო გორდელაძე როდესაც მისი ნახატებით მოხიბლული მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, ახლა მიტო მეთერთმეტე წელშია. „პიონერის“ ამ გვერდზე ვბეჭდავთ მიტო გორდელაძის ახალ ნაშუშევრებს.

კრიბი

ძაღლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი სოფლის ვერცხლავე ადამიანი

მაყვალა ჯინჭარაძე

ძალიან მიხარია, როცა ჩემი სოფლის მოწინავე ადამიანთა შორის პირველს მაყვალა ჯინჭარაძეს ასახელებენ. მაყვალა ჩემი ტოლია, სულ ორი-სამი წლის წინათ ერთად ვსწავლობდით მერვე კლასში და ტანმორჩილ, შავგვრემან გოგონას ზედმეტ სახელად „ჩიორას" ვეძახდით.

დღეს მაყვალა ცნობილი ადამიანია: ჩაის კრეფის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, დეპუტატი — ხალხის რჩეული და ყველასათვის საყვარელი გოგონა.

მაყვალა ჩემი მეგობარია. მე მასთან ა'ლოს ვარ და ვამაყობ ამით.

ზმირად, როცა გაზეთში ვკითხულობ მაყვალაზე, ან რადიოთი ვისმენ, მინდა მივიდე და გადაეხვიო, მივულოცო, შეათასედ მივულოცო. აგერ, მაგიდის მინის ქვეშ, ვინ მოთვლის, რამდენი სურათი და გაზეთის ამონაკერი მაქვს შენახული მაყვალას გმირობის შესახებ.

მაყვალამ თითქოს ტრადიციას არ უღალატა. მის ოჯახში სამი სოციალისტური შრომის გმირია: მაყვალას მამა — თეკრად ოსმანის ძე ჯინჭარაძე, მოწინავე მერგოლური; მამიდა — გული ოსმანის-ასული ჯინჭარაძე, რომელიც სამჯერ იქნა დაჯილდოებული ლენინის ორდენით, როგორც ნოვატორი და ჩაის უზარ მოსავლის ოსტატი; და თვით მაყვალა—სახელგანთქმული მეჩაიე, პატარა გმირი. ნუ გაიკვირვებთ და, მისი უმცროსი დებიც გმირობის კანდიდატები არიან თავიანთი შრომითი მონაცემებით.

მაყვალას თავიდანვე უყვარდა შრომა. იგი მუდამ გვერდით ედგა ოჯახის წევრებს და ეხმარებოდა ჩაის კრეფაში. ახლა ხომ ამ ჩინებული სამქრის ნამდვილი ოსტატი გახდა.

მაყვალას „ტოროლაც ვერ მოასწრებს აფრენას", — როგორც იტყვიან. იგი თავს ევლება მწვანე ბუჩქებს. ასე გგონია ბუჩქებსაც უყვართ მაყვალა. ისინი ხომ ერთმანეთს ასახელებენ... ამას წინათ, საუბარში მაყვალამ მითხრა, რომ წელს ჩემი პლანტაცია სანიმუშო უნდა იყოსო. შარშანაც ახალი მეთოდით გადაუკრიჭავს ბუჩქები — ნაცვლად შემომრგველებისა, სწორად, მაგიდის მაგვარად გაუფფრმებია. მისი თქმით, უბნის აგრონომი ერთ ხანს არც ეთანხმებოდა თითქოს, მაგრამ, როცა შედეგი კარგი მიიღო, კრეფაც გადვილდა და ხარისხიც ამაღლდა, მაშინ ყველას მოეწონა.

მიხარია, რომ ჩემი ამხანაგის ახალ მეთოდს მოსწავლეთა ბრიგადაშიც დავნერგავთ.

მაყვალასთან მისვლა მიხარია — მიამბობს შრომის შესახებ, მეტყვის როგორ გამოვიდა სიტყვით კონფერენციებზე, როგორ აიღო ახალი ვალდებულება და როგორ იბრძვის მისი შესრულებისათვის.

ჩვენს საუბარს 85 წლის ბებიაც უსმენს... ბებიას არ უკვირს მაყვალას გმირობა. მის ოჯახში პირველად როდი გმირობის ბარაქა და სახელი. მას ამაყად უჭირავს თავი და დინჯად ამბობს: „დღეს რომ თავი ისახელოთ, შვილებო, არც გასაკვირია: ისე მოეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ძალლონე ერთიანად მოგმატებათ. საქმე ის იყო, რომ ჩემს დროში პირველმა მე ჩამოვიხსენი ჩადრი და იმდენ ქალებსა და კაცებში კრებაზე გამოვედი, მეზობლებსაც მოვუწოდე და საქვეყნოდ განვაცხადე: გვეყო ამდენი ტანჯვა-წამება, გადავაგდოთ ეს სიბნელე და შავი ძაძა-მეთქი; ზოგიერთმა ტაშიც დამიკრა და გაიხარა, ხოლო რამდენიმე კიდეც დამემუქრა... აი, ეს მითხარით, თორემ ახლა იშრომებთ, აბა, რას იზამთ, ყველა პატივს გცემს, გაფასებს, თავს გეკლება".

უხარია ბებიას... უხარია, რომ სამი გმირი მის კალთაში აღიზარდა და ბევრი აღიზრდება კიდევ.

რა კარგია, რა სასიხარულოა... ნამდვილი ბედნიერებაა შრომის დაფასება, დიდება და გამარჯვება... — აი, სიტყვები, რომლებიც მაყვალასთან ყოფნისას მებადებიან.

გუგული ბაკურიძე,
ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის მოსწავლე.

რატომ არ თამაშობს?

გაზაფხულის ნათელი დღე იყო. ერთი, კარგად ჩაცმული ჯენტლმენი მევიდა პარკში და სკამზე ჩამოჯდა. შორიახლოს პატარა ბიჭი ბალახზე წამოწოლილიყო და ეშმაკური ღიმილით შესცქეროდა ახალმოსულს.

—რაშია საქმე, პატარა ბიჭო?— შეეკითხა ჯენტლმენი,—რატომ არ მიდიხარ სათამაშოდ?

—არ მინდა, —უპასუხა ბიჭმა.

—რატომ?! —იკითხა ჯენტლმენმა.

—ვუცდი,—უპასუხა ბიჭმა.

—რას? — კვლავ ჰკითხა ჯენტლმენმა.

— თქვენს ადგომას. ამ 15 წუთის წინ მღებავმა თქვენი სკამი შეღება.

ინგლისურიდან თარგმნა

მანანა კვეტაძემ,
თბილისის 57-ე სკოლის VIII კლ. მოსწავლე.

მოსწავლეთა შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეს ამბავი, ბავშვო, ასეთია

ანი როდარი
(ტალიანი წერილი)

რითი ვფერდეთ

ქალაქზე — თეთრზე და
ალისფერ-
დაფერება სიტყვა ლამაზი,
თუ გვქნათ, ნაცვლად
საფერ-ალმასია.
ნარნარი ხმაი კაშკაშა მზისა,
ელვარებლის სიტყვები.
ნაცვლად ფანქრისა,
დაფერება
ნაცვლად ქარის,
ბაგეზე იმ ოქროვნი
ალმანი, ფაფალიანი
ფაფალი განი
ალიკ ალიკებში.
ეგზალტ ალმანთ.
ეგე ოქროვნ ეკადებათ,
შეაძლებთ დაფეროთ
ოქროს სიტყვები.

რას ჭიმსულოზენ
ბავშვეი ეკვირაოვით

საკვირადღეთ კატება აქვთ ერთი
საინტერეაო მეტად გაზეთი.
შეგ ბლომად არის განცხადებები,
იმ განცხადებებს წერენ კატები.

„დავეძებ ბინას
მყუდროსა,
თბილსა,
ძველ სავარძლით,
ტახტით,
ღუმელით;
ცელქი ბავშვები არ იყონ ახლოს,
რომ კუდზე ხელი არაინ
გვახლოს“.
„ინიორინა გვინდა ალეთი, —
შეეძლოს კითხვა წიგნის, გაზეთის:
უცხო ენებიც უნდა იცოდეს,
საყასბოებსაც კარგად იცნობდეს“.
„ეიდეგ დაკვეთას, გავწმენდო
სწრაფად
ვირთხებისაგან ხბვენი, ხარფაფი“.
„ეცოლო ეძებს ალალეა მსუქანს.
მზითვად მოითხოვ. მხოლოდ რძი
დუქანს“...
...ე, დილ-ადან დაღამებამდე,
ეკვირადღეობით უქმად ხდებიან
ერელი კატები:
ეგე ეა ხვადები.
ეგ-ენცხადებების კითხვით ტკბებიან.
ეგ-ეიდეგ სათვალეა ჩამოიხსნიან
და გაზეთებსაც თავი ანებებენ,
ბალ-ულნი ხანლის ახტრავებზე
ენთბილ მოტიეზე ეარინვას
იწყებენ.

თარგმნა **გრიგოლ ცეცხლაძემ**

...ეს ამბავი, ბავშვო, ასეთია

შარაგაზაზე დილაადრიან მიიჩქარიან ბავშვები — ნანი, გურამი, ნაზიბროლა, რომანი, მაგული და სხვები...

სოფელს ეფინება მათი ქვიკლ-ხიკილი...

ბავშვები ერთმანეთს ეჯიერებიან — ვინ მეტ ჩაის ფოთოლს მოკრეფსო. ცხარე დღეებია ახლა კოლმეურნეობაში — ნანის, გურამის, ნაზიბროლას, რომანის, მაგულისა და სხვა ბავშვების შშობლებს სურთ გადაჭარბებით შეასრულონ „მწვანე ოქროს“ კრეფის გეგმა და პიონერებიც მათ მხარში უდგანან.

პლანტაციის მწკრივი მწკრივს მიჰყვება, ნელ-ნელა ივსება კალათებიც. აი, ორღობეში მწონავი გამოჩნდა, შორიდან მეგობრულად უქნევს ხელს ბავშვებს — იცის, რაკი პლანტაციაში პიონერები გამოჩნდნენ, ბევრი სამუშაო ექნება!.. მარილაც, დღე ისე არ გავა, რომ ათჯერ და ასჯერ არ გაუბრწყინდეს სახე და არ წამოიძახოს: — ყოჩაღ!..

სადგომების დალაგება, საჭმლის შემზადება, ახალმოზარდეულის დასუფთავება — ყველაფერი ეხერხებათ ციურისა და მისი რგოლის წევრებს. იცინან, კარგად იციან პიონერებმა, რომ სამშობლოს ახლა მეტი ხორცი და რძე ესაჭიროება, სწორედ ამიტომ იკისრეს მეცხოველეობის ფერმის შეფობა, და აქაც ისახელეს თავი.

ერთ დღეს ნანი, გურამი და მათი მეგობრები სალაშქროდ იყვნენ და კარვებში გაათიეს ღამე! განუმეორებელად ვეებს... მერე კი — კოცონი და ლაღი სიმღერა!

რამდენიმე დღის შემდეგ ავტომანქანაში ჩამსხდარი პიონერები ბათუმისკენ მიეშურებოდნენ. ერთ ექსკურსიას მეორე მოჰყვა, — ქუთაისის ახალშშენებლობათა სანახავად, მეორეს — მესამე... არც სოფელში არიან ბავშვები მოწყენილნი — ხან პიონერულ კონცერტს მართავენ, ხან ლიტერატურულ დილას; სასპორტო მოედანზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ფეხბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები. ყველას სურს რაზმეულის საზაფხულო თასის მოპოვება...

ასე ნაყოფიერად და მხიარულად ატარებენ ზაფხულს წულუკიძის რაიონის სოფელ ქუტირის პიონერები..

გ. ბახტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრის გაწყობა

სუფრის გაწყობა — საოჯახო საქმიანობაში ერთიერთი საპატიო მოვალეობაა. იგი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს დიასახლისისაგან.

იმისათვის, რომ კარგად დაეუფლოთ სუფრის გაწყობის ხელოვნებას, სასურველი იქნება ოჯახის ნორჩმა წევრებმა, როგორც გოგონებმა, ასევე ბიჭუნებმაც, თქვენს თავზე აიღოთ ეს საქმე. ამით, მეორე მხრივ, უფროსებს საოჯახო საქმეში ტვირთსაც შეუმსუბუქებთ.

ლამაზად გაწყობილი სუფრა ადამიანს კარგ განწყობილებაზე აყენებს, ამავე დროს, მადას უღვივებს, რაც ორგანიზმის ნორმალურ კვებას უწყობს ხელს. ასე რომ, სუფრა მარტო სტუმრებისათვის კი არ უნდა გაიწყოს ლაზათიანად, არამედ ყოველდღიურად, ოჯახის წევრებისათვისაც.

სტუმრების პატივსაცემად სადილსა თუ ვახშამზე მაგიდას სუფთა, გახამებული და კარგად გაუთოვებული თეთრი გადასაფარებელი გადააფარე, ჩაიზე კი ფერადი ან ნაქარგი გადასაფარებელი გამოიყენე.

ვახშამსა და სადილზე თეთრი ფერის, ჩაიზე კი ფერადი ხელსახოცები გამოიყენე. კუთხურად გაკეცილი ხელსახოცი თეფშის ზემოდან ან მის ხელმარცხნივ მოათავსე.

შინაურებისათვის სუფრის ნაცვლად მუშამბა შეგიძლია იხმარო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ოჯახში ბავშვები არიან. შეიძლება, აგრეთვე, სპეციალური ქაღალდის გადასაფარებელიც გამოიყენო.

სუფრის გაწყობა საუზმისათვის

პირველ რიგში იმდენი საუზმის თეფში განალაგე სუფრაზე, რამდენი ადამიანიც უნდა შემოუსხდეს მას. თეფშის ხელმარჯვნივ დანა დადე, მჭრელი მხარე შიგნით ჰქონდეს მოქცეული, მარცხენა მხარეს ჩანგალი მოათავსე ისე, რომ ამობურცული მხარე ზევით იცქირებოდეს.

თუ საუზმისათვის კვერცხი მოხარშე, მისთვის მაგიდაზე სპეციალური ლარნაკი და ჩაის კოვზი უნდა მიიტანო.

შემწვარი კვერცხი კი ყველას ცალ-ცალკე პატარა ტაფებით მიართვე.

თუ საუზმის შემდეგ ჩაის ან ყავის დალევაა გათვალისწინებული, მაშინ სუფრის გაშლისას ყოველი წევრისათვის საუზმის თეფშის უკან, ან ხელმარჯვნივ ლამბაქიანი ფინჯანი დადგი, ლამბაქზე კოვზი დადე.

ჭურჭლის განლაგების შემდეგ თხლად დაჭერი პური და საპურე ნებისმიერად, მაგიდის რომელიმე მხარეს მოათავსე. ყველი, ძეხვი და სხვა ცივი საუზმე ლამაზად დაჭერი, ერთმანეთს ფერებით შეუხამე და თეფშებით სუფრის შუაგულში ლამაზად განალაგე.

ყავა, ჩაი თუ ცხელი რძე მაგიდაზე საყავეთი, ჩაიდნით ან სარძევით მიიტანე და დიასახლისს ხელმარჯვნივ დაუდგი დასასხმელად.

სუფრის გაწყობა სადილისათვის

ამ შემთხვევაში სუფრაზე თეფშები სულადობის მიხედვით განალაგე, ოღონდ სუფრის ყოველი წევრისათვის ორ-ორი თეფში გაითვალისწინე (მოზზდილი — მეორე კერძისათვის, მომცირო კი, ისეთივე ფერისა — საუზმისათვის). თეფშის მარჯვენა მხარეს დანასთან ერთად სუფრის კოვზი დადე, ოღონდ ისე, რომ ამობურცული ნაწილი ზევით ჰქონდეს მოქცეული. ჩანგალი მარცხნივ მოათავსე. თუ სადილის შემდეგ დესერტის მიტანა გაქვს განზრახული, მაშინ თეფშის წინ სადესერტო ან ჩაის კოვზი დადე უსათუოდ. ხაჭაპურის ან ღვეზელის გადასაღებად თეფშის მარჯვნივ დამატებით პატარა თეფშიც დადგი. ლიმონადის, ხილის გამონაწურის თუ სხვა სასმელის დასალევად თეფშის უკან სპეციალურად შერჩეული სასმისი დადგი.

მაგიდის შუაგულში სხვადასხვა ადგილას რამდენიმე სამარილე, მდოგვიანი თუ სხვადასხვა საწებლიანი ლარნაკი განალაგე. მაგიდის შუაგულშივე თეფშებით გაფანტულად დადგი ლამაზად გაფორმებული სხვადასხვა ცივი საუზმე (ფხალეულობა, ლობიო, მშრალად მოხარშული ხორცი, თევზეულობა და სხვ. აგრეთვე მწვანილეულობა თუ ბოსტნეულობა — ბოლოკი, კიტრი, პომიდორი და სხვ.).

ყველა კერძს გადასაღებად ჩანგალი ან კოვზი მიუდე.

საუზმის შემდეგ ჯერ წვნიანი კერძი ჩამოარიგე ღრმა თეფშებით, სხვა კერძეულობა კი სპეციალური ლარნაკებით დაუწყე სუფრაზე.

ტკბილი სადესერტო საჭმელი — კისელი იქნება ის, კომპოტი, ნაყინი თუ კრემი, ლამბაქზე დადგმული სპეციალური ლარნაკებით მიართვი სუფრის ყველა წევრს; ხილის მირთმევის შემთხვევაში მაგიდაზე პატარ-პატარა თეფშები და დანებიც მიიტანე.

ვახშმისათვის სუფრა ისევე იწყობა, როგორც სადილისათვის. მხოლოდ, სუფრის კოვზი არაა საჭირო, რადგან ვახშამზე წვნიანს არ ჭამენ.

სუფრის გაწყობა დამოკიდებულია დიასახლისის გემოვნებასა და შესაძლებლობაზე. მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს, მოხერხებულად, ფაქიზად და ლამაზად გააწყოს სუფრა.

დიდი წვეულებისას სადილისა თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაბშმისათვის გათვალისწინებულ სუფრას საზეიმო იერი უნდა მიეცეს. ამისათვის საუკეთესო ჭურჭელი უნდა გამოიყენონ.

ვახშმისა და სადილისათვის ბევრი სხვადასხვა კერძი მზადდება. ასევე სხვადასხვა სასმელებიც მიაქვთ ხოლმე სუფრაზე, ამიტომ სტუმარს კერძი თუ სასმელი შესაფერისი ჭურჭლით, დანა-ჩანგლით და სასმისით უნდა მიართვა.

კერძეულობა მხატვრულად უნდა გაფორმდეს და ისე მიიტანო სუფრაზე. სუფრა ცოცხალი ყვავილებით უნდა დაამშვენო. აჯობებს პატარა ლარნაკები გამოიყენო და მასში რამდენიმე ცალი ყვავილი ჩადო.

რაც უფრო უხმაუროდ მოემსახურები სუფრას, თავაზიანი და ყურადღებიანი იქნები ყველას მიმართ, მით უფრო მოგიწონებენ დიასახლისობას.

სუფრასთან ქცევის წესები

სუფრასთან დაჯდომის წინ უსათუოდ დაიბანე ხელები. ადგილი ხმაურის გარეშე დიაჭირე. დაჯექი გამართულად. იდაყვებს ნუ დააყრდნობ მაგიდას — ამით ხელს შეუშლი გვერდით მჯდომს. იჯექი მშვიდად, ფეხით არ შეაწუხო პირდაპირ ან ვერდით მჯდომი.

სუფრასთან ბუნებრივად და სადად რომ გეჭიროს თავი, კარგად უნდა ერკვეოდე ჭურჭლეულის, დანა-ჩანგლის, კოვზეულობის, აგრეთვე, სასმისების დანიშნულებაში, უნდა იცოდე, ყოველი მათგანი როდის და როგორ იხმარო.

კერძს არ გადასწვდე, ვიდრე ოჯახის რომელიმე უფროსი წვერი, ან საერთოდ უფროსი არ გადაიღებს.

თეფშზე სამყელი ზომიერად გადაიღე.

ჭამა თვეზეულობით დაიწყე, მერე მოსტნეულობაზე გადადი, ბოლოს ხორციანი სამყელი გადაიღე.

ხორცეულობის დასაჭრელად დანა იხმარე. დანა მარჯვენა ხელში დაიჭირე, ჩანგალი კი მარცხენაში, — დახრილი სახით. ჩამოჭრილი ხორცის ნაჭერი, ჩანგლით რომ აიღებ, მარცხენა ხელით ჭამე. ხორცი ერთბაშად არ დაჭრა, პირიქით, თანდათან, რომ არ გაცივდეს, თორემ გაუგემურდება.

კატლეტის, თევზის, შემწვარი კვერცხის, მოსტნეულის ჭამისას დანა არ გამოიყენო. დანის მაგიერ მარჯვენა ხელში ჩანგალი მოიმარჯვე, ჩანგლითვე ჩამოჭერი ნაჭრები და მარჯვენა ხელით ჭამე.

თუ ფრინველის ხორცს ჭამ, ხორ-

ცი ღ ნით ჩამოჭერი, შემდეგ ძვალი ხელში აიღე და ზედ დარჩენილი ხორცი ისე ჩაკბიჩე. პატარ-პატარა ძვლები ტუჩთან მიტანილ ჩანგალზე ფრთხილად მოათავსე, შემდეგ ისინი შენი თეფშის კიდეზე დაიწყე.

თუ წვნიანი კერძი ცხელია, სული არ შეუბერო, გაგრილება აცალე, ასევე მოიქეცი ცხელი ჩაის ან სხვა სასმელის დალევისას.

თუ რომელიმე კერძი შენგან შორს დევს, მისკენ ნუ გადაიხრები, თხოვე ამ კერძთან ახლო მჯდომს და ის მოგაწვდის.

ლანგრიდან გადასაღებად საუკეთესო ნაჭერს ნუ შეარჩევ. საერთოდ, ის ნაჭერი გადაიღე შენს თეფშზე, რომელიც შენთან უფრო ახლოა.

კარაქი, ყველი, ან მეხვი საერთო თეფშიდან ჯერ საკუთარზე გადაიღე, მერე პურზე დადე, მიიღებ ბუტერბროდს, პატარ-პატარა ნაჭრებად მოტეხე ან მოჭერი და ისე ჭამე.

საჭმელი შენი ნახმარი კოვზით და ჩანგლით არ გადაიღო — საერთო თეფშს კერძის გასადებად ახლავს ჩანგალი ან კოვზი და ისინი გამოიყენე.

გადაღებისას შენთვის არ შეარჩიო ყველაზე დიდი და მწიფე ხილი.

მსხალი და ვაშლი ჯერ შუაზე, მერე უფრო პატარა ნაჭრებად დაყავი და ისე შეექეცი.

კენკროვანი ხილი (ხენდრო, მაყვალი, ჟოლო) კოვზით ჭამე. კუტკოვანი კი ხელით. კუტკა პირიდან [illegible] ნევლად გამოიღე და თეფშზე [illegible]

ჩაის უხმაუროდ მოურიე [illegible] მერე ლამბაჭზე დადე. ნატეხ[illegible] [illegible]რი საშაქრიდან სპეციალური [illegible]ით, ან უბრალოდ, ხელით აიღე.

ჰური თუ ფუნთუშეული საპუტრიდან ხელით აიღე, საკუთარ თეფშზე დადე, პატარ-პატარა ნაჭრებად მოტეხე და ისე შეექეცი. ხელით შეგიძლია გადმოიღო კამფეტი, ხილი.

ტკბილეულობა, მაგალითად: ტორტი, ნაპოლეონი, სხვადასხვა კრემიანი ნამცხვარი სპეციალური ბრტყელი დანით გადაიღე.

ჭამის დროს პირში დიდი ლუკმა არ ჩაიდო.

ბუტერბროდის ჭამისას ჩაის თანდათან ნუ დააყოლებ, მით უფრო მაშინ, როცა პირი ლუკმითა გაქვს სავსე. ჯერ ლუკმა კარგად დაღეჭე, გადაყლაპე და ჩაი მერე დააყოლე.

გაკონილი, ან საჭმელით მოსვრილი ტუჩების გასაწმენდად ხელსახოცი იხმარე. ხელსახოცი მეხლებზედაც შეგიძლია დაიფარო, რომ ტანსაცმელი არ დაგესვაროს. ხმარების შემდეგ ხელსახოცი არ დაკეცო, როგორც მოგიხდება, ისე დადეგი თეფშის მარჯვენა მხარეს.

სუფრასთან ხმამაღლა არ ილაპარაკო, მითუმეტეს არასასიამოვნო თემაზე. ისაუბრე მშვიდად. თუ ჭამის დროს საუბარი გაგიმა სუფრის რომელიმე წევრმა, ჭამა ცოტა ხნით შეაჩერე.

სუფრიდან მანამ ნუ წამოდგები, სანამ ყველა არ დაამთავრებს ჭამას. თუ მაგიდიდან ადრე ადგომა აუცილებელია, მაშინ ბოდიში მოიხადე და ადგომის ნება აიღე უფროსებისაგან.

სუფრიდან ადგომისას მადლობა გადაუხადე დიასახლისს. ეს იქნება მის მიერ გაწეული შრომის დაფასება.

კიდევ და კიდევ კიმეორებთ, სუფრასთან ქცევის წესები მარტო საზოგადოებაში კი არ უნდა დაიცვა, არამედ საკუთარ სახლშიც. მაშინ იგი ჩვევად გექცევა და უხერხულ მდგომარეობაში არასდროს არ აღმოჩნდები.

ლ. პაიკაძე,
ი. ელიგულაშვილი,
ა. ბოკაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე გაიხსნა მე-11 რესპუბლიკური კონკურსი.—„ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“. კონკურსზე წარმოდგენილ იქნა 2000-ზე მეტი ექსპონატი თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ფოთის, ცხინვალის, თელავის და საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან.

შედიხართ პავილიონში და თქვენს ყურადღებას პირველ რიგში ხის ნამუშევართა განყოფილება იპყრობს. აგერ, კოჯრის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მიერ ხეზე ამომწვარი შოთა რუსთაველის პორტრეტი. იქვეა თელაველი პიონერის, ოთარ კოჭლამაზაშვილის ხეზე ამომწვარი სურათი „რთული ამოცანა“. ცხინვალელი მოსწავლეების ალექსი გოგოლაევის, რუსლან ბოლოთაევის და სხვათა ფანერისაგან გამოჭრილი „დათუნია“, „კვერნა კალათით“, „ციყვი საჩუქრით“, „გამბედავი ბუუდლელი“... მნახველთა [illegible] ყურობს ახალგაზრდა [illegible] ნახ. ი[illegible] ილუმალის [illegible] სკოლ[illegible] წავლეების ნაშრ[illegible]



სურათზე (ზემოთ): თელავ[illegible] ... სკოლის ხელმარჯვეთა წრის ნამუშევარი,—თანამედროვე სახატვრო ოთახის გარნიტური.

ბილაშვილების ხეში გამოკვეთილი „ტარიელის შებმა ვეფხვთან“.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი, ქუთაისის 25-ე სკოლის ხელმარჯვეთა წრის მიერ გ[illegible]ეთებული სასწავლო მერხი. მოსწავლე, რომელიც ამ მერხს მიუჯდება, თავისუფლად იგრძნობს თავს. ხაზვის გაკვეთილზე, მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ამ მერხზე სპეციალურად მოწყობილი სახაზავი დაფა.

სატრანსპორტო განყოფილებაში რომ გაივლით, თქვენს ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს თბილისის 51-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის გიორგი ვარაზის ოსტატურად აგებული იალქნიანი ვემის მოქმედი მოდელი, სურამის რვაწლიანი სკოლის მეშვიდეკლასელთა მიერ აშენებული ელმავლის მოქმედი მოდელი, ბათუმის შვიდწლიანი სკოლის მე-6 კლასელი მოსწავლის შოთა ვასკოანის მიერ გაკეთებული სპორტული ავტომობილის მოქმედი მოდელი, [illegible]ვიტანის მე-18 სკოლის მე-8 კლასის დაწყვლის ბადრი ბადრიშვილისა ერ აგებული მექანიკურ-ძრავიანი თვითმფრინავის მოდელი და სხვა მრავალი.

ელექტროტექნიკის განყოფილებაში მრავალი ექსპონატია წარმოდგენილი, რომლებიც თავისი ნაკეთობით მნახველთა ყურადღებას იმსახურებენ. აგერ, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის მე-10 კლასის მოსწავლეების ნიკოლოზ კობრიძისა და ალექსანდრე სტურუას მიერ დამზადებული ელექტრომრიცხველთა მუშაობის შემმოწმებელი ხელსაწყო.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ელექტრო-ტექნიკური წრის მიერ დამზადებული შიდაწვის ძრავის მოდელი კარგი სადემონსტრაციო ხელსაწყოა მანქანათმცოდნეობის გაკვეთილზე. როდესაც მოსწავლე გულდასმით დაუკვირდება ამ მოდელის მუშაობას, იგი ნათლად წარმოიდგენს, თუ როგორ მუშაობს მანქანის ძრავა.

ეს რა არის?—იკითხავთ, ალბათ, გაოცებულნი, როცა ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მაგიდას მიუახლოვდებით.

—ეს, „ჯადოსნური მაგიდაა“—გიხსნით ექსკურსიამძღოლი და შემდეგ მაგიდის პატარა ნათურას აანთებს. ნათურას მავთული არა აქვს. ექსკურსიამძღოლი მას მაგიდას მიუახლოვებს და, ზარიც აწკრიალდება. როგორ?—ექსკურსიამძღოლს ეღიმება და შემდეგ გიხსნით,—ეს „ჯადოსნური მაგიდა“ თბილისის 36-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ მალხაზ ლაშაურმა დაამზადა, იგი ელექტრომაგნიტური ველის წარმომქნის პრინციპზეა აგებული. მაგიდას ქვემოდან მიმაგრებული აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც წარმომქნის ელექტრომაგნიტურ ველს და მოქმედებაში მოჰყავს ელექტრომოწყობილობანი.

გამოფენაზე ქიმიის მოყვარულებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა, აგერ, ნატრიუმისა და ქლორისაგან ქლორნატრიუმის წარმომქნის სადემონსტრაციო ფარი. იგი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წრის წევრებმა, თბილისის მე-14 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა ლ. ახალაძემ, ლ. გაჩიჩილაძემ და ბ. მშვენიერაძემ დაამზადეს.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ და ყურადღება არ მიაქციოთ ჩაის საკრეფი მანქანის მოქმედ მოდელს, რომელიც ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური წრის წევრებმა თემურ კე-

მეთერთმეტე რესპუბლიკური...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი მე-4 საშ. სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა ნ. ბერიძემ და ვ. ჯიოევმა გამოფენაზე წარმოადგინეს გასუფთავებული მოქმედების ყურძნის საწნები მანქანა მოდელი.



გამოფენაზე წარმოდგენილი სათამაშო — „ზრომისმოყვარე დათუნები", მნახველთა ყურადღებას იმსახურებს.



ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წრის წევრებმა ვ. ვალიშვილმა, ვ. ბურძენიძემ, კ. ბარამიძემ და გ. დონლუზაშვილმა ძაფსახვევი ავტომატის მოქმედი მოდელი დაამზადეს.

თ. სახაროვი

ფოტო ავტორისა.



ოსტატურად არის გაკეთებული ქუთაისის მე-7 საშ. სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეების ე. ჭურჭელიძის, ი. ჩიხლაძის და რ. ბოლაძის მიერ „საბაგირო გზა".

რესელიძემ და ალბერტ ლონგურაშვილმა დაამზადეს.

საინტერესო სიტყვა თქვეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წრის წევრებმა, თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა დეკინ ბერიძემ, ვლადიმერ ხმელიძემ და თემურ გაბინაშვილმა. მათ თავიანთი ფანტაზიით შექმნეს საქონლის გამოსაკვები ავტომატის მოქმედი მოდელი.

ხაშურელმა პიონერებმა საინტერესო ნამუშევარი წარმოადგინეს გამოფენაზე—პლასტელინის, ფანერის და ხის მასალისაგან დამზადებული ფეოდალის ციხე-დარბაზის მაკეტი. ამ ციხე-დარბაზის აგებაზე ხაშურის რაიონის სოფელ წრომის 8-წლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა ნოდარ მურჯიკნელმა, მეელუდ ჩუტერაშვილმა და ჯუმბერ მაისურაძემ იმუშაეს.

ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის პიონერებმა ანზორ კაპანაძემ და ბონდო მოდებაძემ მარგანეცის ქარხანაში გადაზიდვის სადემონსტრაციო მოდელი დაამზადეს. უყურებთ ამ მოდელს და თვალწინ ნათლად წარმოგიდგებათ მარგანეცის ქარხანა მთელი თავისი გრანდიოზულობით.

გამოფენაზე კიდევ მრავალი ექსპონატია წარმოდგენილი, რომელთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გამოფენამ ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა წინსვლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ასე...

ტრიუმფი

ამა თუ იმ პიროვნების დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის ძველ რომში უმაღლეს ჯილდოდ ტრიუმფი ითვლებოდა. ადამიანი რომ ტრიუმფის ღირსი გამხდარიყო, დიდი საგმირო საქმეები უნდა ჩაედინა: თავის სახელმწიფოსათვის შემოემტკიცებინა რომელიმე სამფლობელო, ერთ-ერთ ბრძოლაში ხუთი ათასი მოწინააღმდეგე შეემუსრა და სხვ.

ტრიუმფი დიდი ზეიმით იწყებოდა: დაფნის გვირგვინით შემკული მხედართმთავარი, ჯარის თანხლებით, სპეციალურად აგებული ტრიუმფალური კარით შედიოდა ქალაქში. საზეიმო სვლას წინ მიუძღოდა სამხედრო დავლა და ბორკილდადებული ტყვეები. ხალხი მუსიკითა და ყვავილებით ეგებებოდა გმარჯვებულებს.

სახელწოდება «ტრიუმფი» დაკავშირებულია რიცხვით სახელ სამთან (ლათინურად სამი — თრი) რადგან ზეიმი სამი ნაწილისაგან შედგებოდა (საზეიმო მსვლელობა, მსხვერპლის შეწირვა და ღრეობა).

პირველად სიტყვა «ტრიუმფი» მხოლოდდამხოლოდ ასეთი ზეიმის მიმართ იხმარებოდა. შემდეგ ეს სიტყვა პოლიტიკური, სამხედრო და საერთოდ ყოველგვარი დიდი ზეიმის აღმნიშვნელ სიტყვად გადაიქცა. ასე შემოვიდა ხმარებაში გამოთქმები: «ეს კაცი ტრიუმფის ღირსია», «ნამდვილი ტრიუმფია», «ტრიუმფალური თაღი» და სხვ.

ცნობილია, რომ ქართულმა დამწერლობამ თავის განვითარების გზაზე სამი საფეხური გაიარა: ძველი, საშუალო და ახალი. ძველს მრგლოვანი ჰქვია, საშუალოს — ნუსხური, ახალს კი — მხედრული.

უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები შესრულებულია მრგლოვანით. ის ძეგლები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს, ქვაზე ამოკვეთილი წარწერებია. მათ შორის უველაზე ადრინდელია ბოლნისის სიონის წარწერა. იგი აღმოაჩინეს 1937 წელს, სიონის აღდგენითი სამუშაოების დროს. მომწვანო ფერის ოთხკუთხა ქვის მთელ სიგრძეზე ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი რელიეფური წარწერა, რომელიც ალგალაგ დაზიანებულია. მისი აღდგენის შემდეგ ტექსტში იკითხება:

„შეწევნითა წმინდისა სამებისათა, ოც წელსა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებაი ამის ეკლესიაისაი და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა. ვინ აქა შინა თაყვანი ხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამისა ეკლესიაისა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ, ამენ“.

როგორც წარწერის შინაარსიდან ჩანს, ბოლნისის სიონის ეკლესიის მშენებლობა დაწყეიათ სპარსეთის მეფის — პეროზის მეფობის მეოცე წელს, ე. ი. 478 წელს, გაგრძელებული 15 წელიწადს და დამთავრებულა 493 წელს.

ამრიგად, ბოლნისის სიონის წარწერა 493 წლით თარიღდება და უძველეს, დღემდე მოღწეულ დათარიღებულ ქართულ წარწერად ითვლება.

ბოლნისის სიონის აღმოსავლეთის სარკმლის თავზე მოთავსებულია მეორე, რვასტრიქონიანი წარწერა, ეს წარწერაც რელიეფურია, იგი ერთგან დაზიანებულია და ასე იკითხება:

„ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ... შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შენა შეხვნეიე“.

აქ ნახსენები დავით ეპისკოპოსი იგივე პირია, რომელიც მოხსენებულია პირველ წარწერაში. ეს წარწერა უფრო გვიანდელია. მართალია, აქაც ეკლესიის „მშრომელნი“ იხსენიებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება უკვე არსებულ საყდარში, მის გასამშვენებლად წარმოებული მუშაობა.

ბოლნისის წარწერის შემდეგ ახალ ხელნენ ქარელის რაიონის სოფელ ურბნისის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელში დატანებულ პატარა ზომის ქვაზე გაკეთებულ სამსტრიქონიან

ზემოთ—ბოლნისის მეორე წარწერა.

ქვემოთ—ურბნისის წარწერა.

ჯერჯერ ორენოვანი უძველესი ქართული ნაწერიანი ეკლესია

წარწერას. პალეოგრაფიის (ასოთა მოხაზულობის) მიხედვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ბოლნისის წარწერაზე გვიანდელი არ არის და შესაძლებელია ადრინდელიც იყოს. წარწერა ასე იკითხება:

„უფალო იესე ქრისტე კონსტანტი (და) მამა მეჰაელ შეიწყალენ ამის საყდრისა მაშენებელნი".

დმანისის რაიონში, უკანგორის ეკლესიის ეზოში, ჯვრის კვარცხლბეკებზე მოთავსებულია ორი წარწერა, ორივე რელიეფური. ერთი — შვიდსტრიქონიანი წარწერის უდიდესი ნაწილი ჩამოტეხილი და დაკარგულია. მეორე— ექვსტრიკონიანი წარწერა შედარებით უკეთ არის შენახული. ამ წარწერებს მკვლევარნი მეექვსე საუკუნის დასაწყისს მიაკუთვნებენ. ერთი წარწერა ასე იკითხება:

„პეტრეის ხუცობასა მე თავთარაზ აღხუმართე ესე ჯუარი სახელითა ღმრთისაითა შეწევნითა..."

მეექვსე საუკუნიდან შემორჩენილია ეტრატზე დაწერილი ტექსტები (ეტრატი საგანგებოდ დამუშავებული ცხვრის ან ხბოს ტყავის ფურცლებია). ეტრატი ძვირად ფასობდა და ამიტომ მას საწერად ხელმეორედ ხმარობდნენ: ადრე დაწერილს წაშლიდნენ და ახალს დაწერდნენ. ასეთ, ორჯერ გამოყენებული ეტრატის ფურცლებს პალიმფსესტები ეწოდება.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უძველესი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენს, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმოებელი.

ვ. ციხაკარიშვილი

ღურმა ბაზალი

სოფელ არშის მკვიდრი ღურმა ბაზალი XVIII საუკუნის ქარიშხლიანი დროის გმირია.

ჯერ კიდევ ყმაწვილი ღურმა ბაზალი თავის თანატოლებთან ერთად არშის ციხის კედლებზე ასვლასა და გოდოლების დაპყრობას სწავლობდა, თამაშობდა ლახტს, რაც სწორედ ასეთ ბრძოლას მოგვაგონებს.

მომავალი გმირი ხშირად ისმენდა მამა-პაპათა გმირულ ამბებს, ვეფხვებს რომ ერკინებოდნენ და სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში სახელს იხვეჭნენ, იყვნენ გულადნი და პუოადნიც.

ერთი ხალხური ლექსი ღურმა ბაზალს ათქმევინებს:

„არშის ქლდეს ვეფხვი ავაეწი,
სამჯერ სამობად მეტია.
ვაეკაკ გულადზე ჰერადი
სამი გაფრენით მეტია".

ღურმა ბაზალი, ისე როგორც ყველა მოხევე, პირველ დაძახებისთანავე მეფე ერეკლეს ლაშქარში მიდიოდა და ცდილობდა გმირის სახელი მოეხვეჭა. იგი მეტად მკვირცხლი და გამბედავი იყო.

ღურმა ბაზალმა უკანასკნელად განჯის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. აქ მან საარაკო გმირობა ჩაიდინა: თანამებრძოლთა მცირე გუნდით მოულოდნელად მიუხტა განჯის ციხე-სიმაგრეს და კარი გატეხა. უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება მას დარჩა. საკუთარი ხელით დაამარცხა მტრის რაზმის მეთაური და მისი ლახტიც თან წამოიღო.

გამარჯვებული ღურმა ბაზალი მშობლიურ სოფელ არშაში დაბრუნდა. მას, მეფე ერეკლეს ბრძანებით, განჯის ციხის ჯაჭვიანი კლიტე გადასცეს, როგორც გამარჯვების ნიშანი.

XIX საუკუნის 90-იან წლებში არშის ციხეში ღურმა ბაზალის მიერ განჯიდან ჩამოტანილი ჯაჭვიანი კლიტე და ლახტი თავის თვალით ნახა გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტმა ა. კობაძეიმ.

ხალხმა ღურმა ბაზალზე ლექსები გამოთქვა. აი, ერთი მათგანი:

„არშას ბაზალი ღურმაი,
ვეფხი კლანჭებზედ დგებაო;
განჯას შაჰგლიჯა კლიტენი,
ჩემს არშას მაუხდებაო".

სახალხო გმირის ბაზალის სახელი მხოლოდ ჩვენ დროში გადავიდა ქართულ მწერლობაში. XO-იან წლებში მისი გმირული სახე გამოიყენა პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა თავის ლექსში „არშის ლამე":

„აი ბაზალის კარმიდამო
თოგრის გადაღმა,
ვეფხი კლანჭებზედ ბაზალივით
ინყინერია,—
ბეგური არშა განახლებულ
ხევში გადახმა,
ხვიეის თოგრი და მოხეგვენიც
გაიმღერიან".

მართალია, სახალხო გმირის ღურმა ბაზალის სახელი ისტორიამ წერილობითი წყაროებში არ შემოგვინახა, სამაგიეროდ ხალხმა არ დაივიწყა და ზეპირსიტყვიერების საშუალებით თაობიდან თაობას გადასცა.

ვ. სიდამონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანკარა

ბიუნთეი ფოსბერი
გერმანელი მწერალი.

ჰოდა, ამას წინათ გველი გამეპარა. თანაც სკოლაში. მე კი მხოლოდ ჩვენი მასწავლებელი, ფროილაინ მითეგე მინდოდა გამეხარებინა.

ეს ამბავი ასე მოხდა.

სადილის შემდეგ წყაროსთან წავედი, ბოცვერისათვის ბალახი უნდა მომეთიბა. უცებ ჩემს წინ რაღაცამ გაიშრიალა. პირველად ხვლიკი მეგონა და დაჭერა დავუპირე — **ამხანაგებთან დავიტრაბახებდ-მეთქი. კიდევ გაიშრიალა და მეც დავწვდი.**

შიშისაგან გული გადამიქანდა — ხელში დიდი ანკარა შეპირა!

ჩვენ, რა თქმა უნდა, ხშირად ვიჭერდით ხოლმე ანკარებს, მაგრამ ისინი ყოველთვის პატარები და რაღაცნაირი საწყლები იყვნენ. ამ ანკარას კი, ხელზე რომ მეხვეოდა, სიგრძე სულ ცოტა, ერთი მეტრი ქონდა და თანაც ცივი და სრიალა იყო.

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა, ანკარას სკოლაში წავიღებ და განვაცხადებ: ეს დიდი გველი ბიოლოგიის გაკვეთილისათვის დავიჭირე მე მარტომ. როგორ გაუკვირდება, ალბათ, ყველას. ფროილაინ მითეგეს კი ესიამოვნება-მეთქი, ვიფიქრე. მეგონა მთელი სკოლა მხოლოდ ჩემს ანკარაზე ილაპარაკებდა. ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სანამ სულ სხვაგვარად დატრიალდა.

მეორე დილით ანკარა ჩანთაში ჩავჩხირე და სკოლისაკენ მოვუსვი. წვიმდა და გრილოდა. ამიტომ ჩემი ანკარაც განაბული იყო ჩანთაში. კლასში შევედი და ჩანთა მერხზე ჩამოვკიდე. ბიოლოგიის გაკვეთილს მოუთმენლად დაველოდე.

მაგრამ აუზაური ჯერ კიდევ გერმანულის გაკვეთილზე, ჰერ ლეპკესთან ატყდა. ამ გაკვეთილზე ძალაუნებურად ყურადღებით უნდა იჯდე და მეც თითქმის სულ გადამავიწყდა ჩემი ანკარა. როცა მომაგონდა და ჩანთაში მივიხედე, ჩანთა ცარიელი იყო.

წყნარად რა გამაჩერებდა. ავწრიალდი, ხან მერხქვეშ შევიხედე, ხან კარებისაკენ გავიხედე, მერე სანაგვე კალათას მივაშტერდი, მაგრამ ჩემი ანკარა არსად ჩანდა.

უცებ მონიკა ლიზეგანგმა შეჰკივლა და მერხზე ახტა.

ჰერ ლეპკე ძალიან გაუჯავრდა, — ახლავე ჩამოდი მერხიდან და დაჯექი შენს ადგილზეო. მაგრამ მონიკა თავის კაბას ჩაბღაუტებოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ამ დროს, მონიკას მეზობელი, გერლინდე ფოგტსიც წვიმილით წამოვარდა და ისიც მერხზე ახტა.

ჰერ ლეპკეს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ორივე გოგონა ყოველთვის წყნარად იჯდა გაკვეთილზე და არასოდეს არ ცელქობდა. ის იყო, ჰერ ლეპკე გოგონებთან მივიდა, რომ კარლმა იყვირა:

— ხალხო, ნახეთ, ანკარა! — და გაიწია მის დასაჭერად.

დაიბირეო, უთხრა ჰერ ლეპკემ კარლს. მაგრამ კარლს ანკარა ხელიდან გაუსხლტა და გოგონების რიგისკენ გაცოცდა. ირგენდის გვერდზე რომ გასრიალდა. იმანაც სცადა მისი დაჭერა, მაგრამ ვერ დაიჭირა. მარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტანი, გერდი, ოტო რალფიც ჩაებნენ საერთო საქმეში.

უცებ ანკარა გაქრა. კიდევ ცოტა ხანი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვერ ვნახეთ.

ზარის შემდეგ კლასში ჰერ ნოიმანი შემოვიდა. დაიწყო გეოგრაფიის გაკვეთილი. გვინდოდა, ჰერ ნოიმანიათვის გვეამბნა ანკარას ამბავი, მაგრამ მან თქვა: „სიჩუმე, ბავშვებო!", და ჩვენც გავჩუმდით.

შარტინს და გერლინდეს დიდი რუკა უნდა გაეშალათ და კედელზე გაეკრათ. „ეეეი...", — იკივლა უცებ გერლინდემ და თავის მეზრხიაკენ გაქანდა. ჰერ ნოიმანმა მკაცრად შეხედა მას, თავი გაქნია, მაგრამ ამ დროს მანაც დაინახა როგორ გამოძვრა დახვეული რუკიდან ანკარა. ჰერ ნოიმანი ძალიან ენერგიული კაცია, ანკარას უეჭველად დაიჭერდა, ის რომ ქაღალდების ყუთში არ შემძვრალიყო. იურგენდმა ყუთი გადმოატრიალა. მთელი ქაღალდები იატაკზე გადმოცვივდა, ანკარა კი ისევ გაუჩინარდა.

გოგოები გასუსულები ისხდნენ. როცა ანკარა მიუახლოვდებოდა, ხან ერთი, ხან მეორე წამოიყვირებდა ხოლმე. დიდ დასვენებაზე სხვა კლასიდანაც მოვიდნენ ბავშვები. ჩვენც ვუყვებოდით მომხდარ ამბავზე და ვტრაბახობდით.

ფროილიან მითეგემ უკვე იცოდა ჩვენი ანკარას ამბავი. კლასში რომ შემოვიდა გვითხრა. ჩუმად იყავითო მერე მოგვიყვა. როგორ ცხოვრობს და რას ჭამს ანკარა. უცებ კარლმა წაიჩურჩულა: „თქვენ ყველ მოდის, ფროილაინ მითეგე, თქვენ-კენ!" მაგრამ ფროილაინ მითეგემ თითი ტუჩებთან მიიდო—ჩუმადო!— და ჩვენც არ გაგვიბრეულვართ. უცებ იგი ახტა თავის ადგილიდან. დასწვდა ანკარას და ხელში იიტაცა. გოგოებმა ერთხმად იწივლეს, ფროილაინ მითეგე კი იღიმებოდა.

ფროილაინ მითეგემ გვაჩვენა ყურის ყვითელი ჭრილები ანკარას თავზე და გოგოებს ხელიც კი მიაკარებინა.

ძალიან საინტერესო იყო ბიოლოგიის გაკვეთილი, ზარი რომ დაირეკა, ფროილაინ მითეგემ კარლს მისცა ანკარა, კარლს, რომელსაც ანკარის არა გაეგება რა, და უთხრა, ტანი ერთ ადგილ, ეს ბოლოს ... ეს ... ეს ... ე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლედ
ყველაფერზე

ბიანგერი საათი

ლიბიეგიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) საათის ჭარხანაში დაამზადეს კოშკის გიგანტური საათი. ამ საათის სიმაღლე 4 მეტრია, იწონის 7 ტონას; პატარა ისრის სიგრძეა 1 მეტრი, დიდი ისრისა — 1,8 მეტრი. აქვს ოთხი ციფერბლატი, რომლებიც სხვადასხვა მხრისკენაა მიქცეული. საათის შეკეთაზეა ჩასმული ფოლადის ბუდეში, რომლის მოცულობა კარგი საცხოვრებელი ოთახის ოდენაა.

გიგანტური საათი დიდდგმები სანავსადგურო ქალაქ როსტოკში, 80 მეტრის სიმაღლის კოშკზე.

უცნაური კვერცხის მდებელი

ამ რამდენიმე ხნის წინ ფრანგული გაზეთები და რადიო იუწყებოდნენ საფრანგეთის უველაზე გამოჩენილი ქათმის — ადელაიდის „გარდაცვალების" შესახებ. თითქმის არ ყოფილა ისეთი ფრანგული გაზეთი და ფურნალი, რომელსაც თავის დროზე არ დაებეჭდოს ამ ქათმის ფოტოსურათი. ადელაიდამ საბელი გაითქვა იმით, რომ დებდა არაჩვეულებრივი ფორმის კვერცხს, რომელიც გარეგნულად ძალზე წააგავდა ბანანს. «მიცვალებულის» გვამი გაკვეთეს. ვეტექიმებს უნდოდათ გიგეთო, რატომ დებდა ადელაიდა ბანანის მსგავს კვერცხს. მაგრამ მის ორგანოებში არ აღმოჩნდა რაიმე ანატომიური თავისებურება.

„ბზის შვილთა" განძეული

შვედმა მკვლევარმა კრისტიან მერნერმა ძველ ესპანურ პერგამენტში აღმოაჩინა ცნობა იმის შესახებ, რომ 1582 წელს, როცა ესპანელებმა დაიპყრეს პერუ, ამ ქვეყნის მმართველთა — „ბზის შვილთა" უკანასკნელმა წარმომადგენელმა ბრძანა, დაამპყრობლებისაგან გადაემალათ მრავალი წლის მანძილზე დაგროვებული განძეულის დიდი ნაწილი. გადმოცემით, 70 ათას მტვირთავს მიჰქონდა ოქრო და სხვა ძვირფასეულობა მთების გამოქვაბულებისაკენ. მერნერს იმედი აქვს, რომ აღწერილობის მიხედვით მონახავს იმ ადგილს, სადაც ინახება ლეგენდარული ოქრო. ეკვადორის ხელისუფლებამ მისი ძებნის ნება დართო იმ პირობით, თუ მას გაუხაცენენ განძეულის დიდ ნაწილს.

ლოკოკინების შეჯოსება

ამას წინათ, კუნძულ გიმარასს (ფილიპინები) უთვალავი ლოკოკინა შემოესია. მათ მთლიანად გადაეთვლა ბრინჯის ჭვილები, გაანადგურეს ბოსტნეული და ხილი, გადალრღნეს თვით უველაზე უხეში ბალახების

ფესვები. ამ მცოცავ „ცალიებთან" ბრძოლას ართულებდა ის გარემოება, რომ პატარა კუნძულზე არ შეიძლებოდა მათ წინააღმდეგ ქიმიური საშუალებების გამოყენება. შეიძლება პირუტყვიც დახოცილიყო და სასმელი წყალიც მოეწამლათ, რაც უკანასკნელ საარსებო წყაროს მოუსპობდა 8 ათას ოჯახს. ლოკოკინების დახოცვაში გამოსახელებს სხვა კუნძულების მკვდრნაც დეხმარნენ.

ტელეფონები „ჩიტი" გალობს

ინგლისში იყიდება ტელეფონის აპარატები, რომლებიც ჩვეულებრივი ზარის ნაცვლად, ჩიტის გალობის მსგავს ბგერებს გამოსცემენ.

ახალ ტელეფონს თან ახლავს ინსტრუქცია, სადაც წერია: „ჩვეულებრივი ზარი მეტისმეტად აღიზიანებს ნერვებს, ჩვენი აპარატი კი ადამიანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, თანაც მას ბუნებასთან ახლოსაენებს". მაგრამ ეს ახალი აპარატი თავიანთ მაღალი ფასის გამო მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი.

90 წლის პური

საფრანგეთში, ერთი ფრანგის ოჯახში ინახება არაჩვეულებრივი სუვენირი. ესაა 800 გრამიანი პური, რომელიც 1870 წელს არის გამომცხვარი. საინტერესოა ამ პურის არა მარტო ხნოვანება, არამედ ისტორიაც. 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომი იყო გაჩაღებული. პარიზი კარგა ხნით ალყაში მოექცა. ყოველ კვირაში ოთხიათასამდე კაცი კვდებოდა შიმშილისაგან. იმ მძიმე დღეებში პარიზელები საარაკო ფასს იხდიდნენ ისეთ „პროდუქტებზეც" კი, როგორიცაა ვირთხები და კატები. რაც შეეხება პურს, იგი იმ დროს მართლაც თავის წონა ოქროდ ღირდა.

საბჭოთა უ'იაფოვნეთა

ამას წინათ ქალაქ მოფინის (აშშ) მახლობლად, გზატკეცილზე გადაბარუნდა სატვირთო მანქანა, რომელსაც ფუტკარი გადაეყავდა. შეშფოთებული ფუტკრები ამოფრინდნენ ყუთებიდან. ახლო-მახლო ყველა სულიერი შიშისაგან მიიმალა. პოლიციამ გუშაგები დააყენა, რომლებიც მძღოლებს აფრთხილებდნენ ამ უჩვეულო უსიამოვნების შესახებ. ავტომანქანები ავარიის ადგილს მჭიდროდ დახურული სარკმლებით ჩაუქროლებდნენ ხოლმე. მხოლოდ ორი საათის შემდეგ მოხერხდა მაშინის შეკეთება ბორბლებზე. მაგრამ ათასობით ფუტკარი კვლავ განაგრძობდა ბერწი ბორიალს.

საღამოს, ფუტკრები გზის გასწვრივ სპეციალურად დადგმულ სკებში შერეკეს და **გამგზავრებულმა შვედით ამოისუნთქეს.**

ჩვენი მისამართი:
თბილისი,
პლეხანოვის, 91
ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამოსაცემლობა ფასიანდებული. ფე 05368 ტირ. 21.000. ბინ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 7/VIII-62 წ.
სტამბის შეკვ. 1343. გამოიც. შეკვ. 151. ნაკ. კან ეკ-ის გამოსაცემლობის პ.კ ალეკსანდრეა.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი
20
კაპიკი

აბა, სცადე!

თქვენს წინაშეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული თექვსმეტი წრე. ყოველი მათგანი დაყოფილია ოთხ-ოთხ სექტორად. საჭიროა აქვე მოცემულ კითხვებს გასცეთ ზუსტი პასუხი და საათის ისრის მიმართულებით ჩაწეროთ წრეებში. ყოველი ახალი სიტყვა იწყება წერტილით აღნიშნულ სექტორიდან.



1. სასწავლო ინვენტარი; 2. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 3. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 4. სასწავლო ბიბლია; 5. ძველი საბრძოლო საჭურველი; 6. წარწერა წარმოება-დაწესებულებაზე; 7. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი; 8. აირი ანუ... 9. რძის პროდუქტი; 10. დიდი გერმანული კომპოზიტორი; 11. შინაური ცხოველი; 12. ცნობილი საბავშვო მწერლის გვარი. 13. წყლის ჭურჭელი; 14. სახლის ნაწილი; 15. ფრანგი კომპოზიტორი; 16. კონტინენტი.

შეადგინა **ბ. ქართველიშვილმა**

გამოცანები

1

უსულო და თვალებდიდი,
გამოიცან რაა იგი.

2

თესავენ და რგავენ,
მოიყვანენ—წვავენ.

ალ. საჩინოელი



ამოცანა

ბასრბრჭყალებაა, პატარა,
წაწვეტებული დინგით,
ყნოსვა კარგი აქვს,თვალით კი
ვერაფერს ხედავს იგი.

ნაზი ხაჯაია,
მახარაძის რაიონის, შემოქმედის თემი, გომის 7-წლიანი სკოლის მე-7 კლ. მოსწავლე

პასუხები

ვერტიკალურად: 1. შორენა; 2. ტიტოვი; 3. კიკეთი; 4. მარილი; 7. სმოლნი; 8. ეგრისი; 10 აორტა; 11. ბრასი; 16. ტაში; 18 მერი; 20 ბრაუნი; 21. ირისი; 22. ნანსი; 23. ბრაშსი; 24. ფინლი; 25 საულია; 27 კოკონი; 29. ასირია.

ჰორიზონტალურად: 5. ონისე; 6. წვიმა; 9. ეკონომია; 11. ბაგინეთი; 12. არია; 13. ლურსმანი; 14. ტინი; 15. ატილა; 17. იშიმი; 19. ტიბრი; 22. ნუბია; 24. ფასი; 26. ამირანია; 27. სკარა; 30. ნიუკასლი; 31. იანეიკეი; 32. ლეონი; 33. მინდი.

თავსატეხი

1. თელავი; 2.თბილისი; 3. ბათუმი; 4. ქუთაისი; 5. ფოთი; 6. რუსთავი; 7. დუშეთი.

გამოცანები

1. სალამურა; 2. როდინი.

შეამოწმეთ თქვენი ამოხსნები

საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა არც თუ ისე ადვილი საქმეა, როგორც ამას ფიქრობს წალენჯიხის რაიონის ეგვალის საშუალო სკოლის მოსწავლე ს. ფიფია. „საჭიროა მხოლოდ დაკვირვება და იგი ამოიხსნება თავისთავად",—გვწერს იგი. მაგრამ ასე არ აღმოჩნდა, როცა გავეცანით მის პასუხებს ჩვენი ფურცლის მარტის ნომერში გამოქვეყნებულ ს. ლიდიის ორ ამოცანაზე. მან პირველი ამოცანის გადაწყვეტა ქიშით დაიწყო, რაც დაუშვებელია საჭადრაკო კომპოზიციის ელემენტარული წესებით. ამოცანა, რომელიც იწყება ქიშით, არ ჩითვლება კომპოზიციურ ნაწარმოებად. პირველმა სვლა შემპარავი, შენიღბული უნდა იყოს. მეორე ამოცანაში ს. ფიფიამ დაარღვია სვლების თანმიმდევრობა, რის გამოც ამოცანა არ ამოხსნება. ასეთივე შეცდომები აქვს ველიასცაიხელ მ. მღებრიშვილს.

იკითხავთ: მაშ როგორია სწორი ამოხსნა?- ეი, როგორია:

ამოცანა № 1. 1. fe (ცუგცვანგია, ე. ი. შინაძეს, ლანჩხუთელმა ა. ცინცაძეს, ტყიბულელმა ფ. ბრიგვაძეს, სოფელ მელოქედურის (მახარაძის რაიონი) მკვიდრმა ა. ბინთიხიძეს, მაღლაკელმა (წყალტუბოს რაიონი) გ. ხალვოფურაიმ, ვ. დაკვეხელიანმა (ცაგერის რაიონი, სოფ. ორბელი), ახალციხელმა მ. დიდიმამიშვილმა და ზუდდუფელიანმა პიონერებმა ე. კუთარაშვილმა და შ. გიგოლაშვილმა.

ზოგიერთმა (თბილისელმა ზ. კოკესაძემ, ზესტაფონელმა ლ. კოტრიკაძემ, საჩხერელმა ძმებმა თამაზ და ნუგზარ მგბედლიშვილებმა) ამოხსნა მხოლოდ № 1 ამოცანა, ზოგმა კი (აზარბაიჯანის კ. კახის ქართული სკოლის მოსწავლემ ი. ესიტაშვილმა, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვან-ზომელეთის მკვიდრმა თ. თოხაძემ და წყალტუბოს რაიონის ბრონწეულის სკოლა-ინტერნატის ალსაზრდელმა ი. მუზაევმა) ამოხსნა მხოლოდ № 2 ამოცანა.

მ. გიორგაძე

ტრომბონს, ტრუბას და საქსოფონს
აკორდეონიც აჰყვა,
ჩვენ, პიონერთა ბანაკში
გვხიბლავდა მათი ნახვა.

ფუცქერდით ყოჩაღ ყმაწვილებს.
კონცერტს ვისმენდით ყველა,
მანანაც ტკბილად მღეროდა:
— ოდელა, დელი, დელა!

კ. გოგიაშვილი